# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 30 აპრილი 2005 №96 (2419) ფასი 50 თეთრი


## კალაძე ადასტურებს: ჩელსის მართლაც ველაპარაკე

*კახა კალაძეს „მილანიდან“ ინგლისურ „ჩელსიმდე“ ერთი ნაბიჯი აშორებსო — იუწყება იტალიურ-ინგლისური მედია.*

*ვერ გეტყვით, ეს ინფორმაცია საიდან გაჩნდა, თუმც ჩვენი ევროპელი კოლეგების ვარაუდი მთლად უსაფუძვლო რომ არ არის, კახა კალაძეც ადასტურებს...*




[illegible] ფოტო

— შესაძლოა, ასეც მოხდეს და კარიერა „ჩელსიში“ განვაგრძო. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემთვის ახალი ამბავი არ იქნება.

— ითქვა, „მილანი“ ჩეხ მარეკ იანკულოვსკის ყიდულობს, რომელიც „ჩელსისაც“ სურს და მეტ სატრანსფერო ფულსაც იხდისო.

— ეგ უკვე აბსურდია, რა ხანია, იანკულოვსკი „მილანმა“ იყიდა.

— ეს ჩვენთვის სიახლეა. ვიცოდით, რომ „მილანმა“ „ჩელსის“ შეუთვალა, იანკულოვსკის შეეშვით და კალაძე თქვენი იყოსო...

— „მილანთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაქვს და ასე პირდაპირ ჩემი გაყიდვა-გასხვისების თაობაზე ვერავინ ილაპარაკებს.

— თბილისში კი გავიგეთ, რომ „ჩელსის“ პატრონებთან მოლაპარაკება უკვე გქონდა...

— ეგ საიდან გაიგეთ?

— გავიგეთ... შენ თუ დაადასტურებ ამ ცნობას?

— როგორი გითხრა... დიახ, დავადასტურებ, რომ „ჩელსის“ წარმომადგენლებს ტელეფონით ვესაუბრე.

— კონკრეტულად ვის?

— ვერ გეტყვით.

— ანუ ჩავთვალოთ, რომ ახალი სეზონიდან „ჩელსიში“ ითამაშებ?

— არა, ერთხელაც ვამბობ, „მილანთან“ კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლომდე მაქვს და ჯერჯერობით „მილანიდან“ წასვლას არ ვაპირებ.

**კობა ინასარიძე**

თქვენი ინტერვიუ **კახა კალაძესთან**

4-5 გვერდი

## ცამეტ კაცური დებიუტი

თამამად შეიძლება ითქვას: ახალდაარსებულმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ლიგური რაგბის ევროპულ ოჯახში ხმაურით შეაბიჯა. „13 ქართველის“ ისტორიული დებიუტი ჰოლანდიაში, როტერდამთან ახლოს შედგა.

ტიტების ქვეყანა სარაგბო სამყაროში დიდი ტრადიციებით არასოდეს ქუხდა, თუმცა ცამეტკაცას ჩვენზე დიდი ხანია, თამაშობენ. ჰოლანდიელებს გამოცდილებამაც ვერ უშველა.

პირველ ქართულ ცამეტკაცა ფერხულს მასპინძელთა მარცხი მოჰყვა — 34:14.

VS

## აღდგომისწინა აღდგომა და ხვალეო

კლასიკო ცხრილში არ იყურება

3



## ნემსი კანავაროს ვენაში

სკანდალი, რომელიც შესაძლოა, თითიდან იყოს გამოწოვილი

6

## ვერა ვართ ტარიელები და ვთამაშობთ ცარიელები

## ფიფამ ორი თამაშით დაგვსაჯა



[illegible] ფოტო

მომდევნო სარბიელი გამოვა ოთხშაბათს, 4 მაისს

# კიდევ იოლად გადავრჩით

## ფიფამ ორი თამაში და ეს ციკლი გვაკმარა



ბადრი კოპალაძის ფოტო

ვალერი ჩოლარია

**გადაწყდა:** საქართველოს ეროვნული ნაკრები უახლოეს ორ ოფიციალურ მატჩს, 3 სექტემბერს უკრაინასთან და 8 ოქტომბერს ყაზახეთთან, ცარიელი ტრიბუნებით გამართავს — ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ.

გუშინ უიმედოდ ველოდით იმ სასჯელს, მსოფლიო ფეხბურთის მესვეურები ფიფას შტაბ-ბინაში, ციურიხში რომ გამოიტანდნენ. იქ სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია იმყოფებოდა, მაგრამ ისიც ცნობილი იყო, რომ რა ვერდიქტიც არ უნდა მიეღოთ, ქართული მხარე პროტესტს არ შეიტანდა, რადგან ეს პირველი შემთხვევა არ არის, ქართული სტადიონები რომ ისჯება.

შეგახსენებთ, მარტის მიწურულს ქართველმა ვაი-გულშემატკივრებმა ჯერ საბერძნეთთან, მერე კი თურქეთთან მატჩისას ბოთლები და ათასგვარი საგნები ისროლეს მოედანზე. მაშინვე ცნობილი იყო, რომ ფიფა ამ უაზრო ხელჩუბინობას არ გვაპატიებდა, და, სიმართლე ითქვას, უფრო მკაცრ სასჯელსაც ველოდით.

სალუქვაძისვე ცნობით, ფიფამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სტადიონზე უსაფრთხოების ზომები დაცული იყო და განაჩენი ამიტომ შეამსუბუქა. სფფ-ის გენერალური მდივანი ხომ ციურიხში წასვლამდეც ამბობდა, მთავარია, მომავალ შესარჩევ ციკლში არ გადაგვყვეს სასჯელიო.

**ილია ნანოგაყმილი**

# სახელმწიფომ სიონს წითელი ამოუღო

**გალატაკებულ** გორის „დილას", „ბათუმსა" და ფოთის „კოლხეთს" შესაძლოა, მალე ბოლნისის „სიონიც" შეემატოს. საქმე ისაა, რომ გუშინ ეკონომიკის სამინისტრომ შპს „მადნეული" და შპს „კვარციტი" გასაყიდად გაიტანა. ტენდერი უკვე გამოცხადებულია და სამინისტრო 31 მაისამდე მიიღებს ამ ორი კომპანიის შესყიდვის მსურველთა წინადადებებს.

რა შუაშია აქ ბოლნისის „სიონი", ვფიქრობთ, გამოცნობა არ გაგიჭირდებათ. სწორედ „მადნეულია" „სიონის" მთავარი დამფინანსებელი და, ძნელი სათქმელია, რა იქნება „მადნეულის" გაყიდვის მერე.

ერთი რამ ფაქტია — ეკონომიკის სამინისტრომ რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად აუკრძალა „მადნეულს" გუნდის დაფინანსება, რადგან ახალი კანონი სახელმწიფო შპს-ს ამის უფლებას აღარ აძლევს.

და რა ეშველება „სიონს"?

**ბაჩა ზალამბერიძე**

# საზოგადოება ზესტაფონით დაინტერესდა

## ნახევარფინალი პირდაპირ ეთერში

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგამ და საზოგადოებრივმა ტელევიზიამ ხელშეკრულება გააფორმეს — 4 მაისს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაში „ზესტაფონი" „თბილისს" უმასპინძლებს და მატჩი სწორედ საზოგადოებრივი ტელევიზიით გადაიცემა.

პროფლიგის ტელეპარტნიორი „იმედია", მაგრამ კარგა ხანია, რაც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის თუ თასის მატჩები პერიფერიებიდან ტრანსლირებული არ ყოფილა. ჰოდა, ახლა ინიციატივა საზოგადოებრივმა არხმა აიღო და 4 მაისის ზესტაფონურ შეხვედრასაც მთელი საქართველო იხილავს პირდაპირი ეთერით.

ზესტაფონში ახლა საფეხბურთო ბუმია და საზოგადოებრივი ტელევიზიის იდეა მართლაც საგულისხმო უნდა იყოს. რაც შეეხება „იმედს", ის დღევანდელ „დინამო" — „ტორპედოს" გადასცემს.

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

ჩემპიონატი. XLV ტური
ვესტ ჰემი 1:2 სანდერლენდი
I ლიგა. XLV ტური
ტრანმერი 1:0 პორტ ვეილი

### ბელგია

იუპილერლიგა. XXXI ტური
ვესტერლო 2:2 ანდერლეხტი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXXI ტური
ფიურტი 3:2 ობერჰაუზენი
ერფურტი 0:3 აინტრახტი
უნტერჰახინგი 1:0 დინამო
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXXIII ტური
ჰამბურგი (მ) 1:0 მიუნსტერი
სამხრეთ რეგიონალლიგა
XXXI ტური
ნოტინგენი 2:3 დარმშტადტი
რეგენსბურგი 1:0 ზიგენი
ოფენბახი 2:1 აალენი

### საფრანგეთი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
ოსერი 3:2 ტულუზი

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
XXX ტური
ტიროლი 1:2 რაპიდი
პირველი დივიზიონი
XXX ტური
ალტახი 2:1 ლეობენი
უნტერზიბენბრიუნი 0:1 რიდი
კაპფენბერგი 2:1 აუსტრია (ლ)
ლინცერი 4:2 კერნტენი
ვიორგლი 1:0 გრატკორნი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXVII ტური
ბულე 0:1 ვადუცი
ვოლენი 2:2 ვინტერთური

### ირლანდია

პრემიერლიგა. VII ტური
უოტერფორდი 1:0 სენტ პატრიკი
დროჰედა 2:2 ბოჰემიანსი
შემროკი 1:3 კორკ სიტი
დუბლინი 1:0 დერი სიტი
შელბურნი 4:1 ბრეი

### იტალია

სერია B. XXXVI ტური
ბარი 1:1 ტრევიზო

### თურქეთი

სუპერლიგა
XXXI ტური
ისთანბული 1:3 გაზიანთეფი
რიზე 0:1 ბეშიქთაში

### ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
XXXI ტური
ტვენტე 2:2 პსვ ეინდჰოვენი
როდა 1:0 ნაიმეგენი
მეორე დივიზიონი
XXXII ტური
კამბური 2:0 იგლსი
ემენი 1:4 დორდრეხტი
ეინდჰოვენი 2:1 აპელდორნი
ზვოლე 3:1 სიტარდი
ჰაარლემი 2:2 ეძსელსიორი
მაასტრიხტი 1:2 ჰერაკლესი
სპარტა 0:0 ვეენდამი
ოსი 0:2 ჰელმონდი
ვენლო 0:2 ტელსტარი

### პორტუგალია

სუპერლიგა
XXXI ტური
აკადემიკა : ბოავიშტა გვიან დამთავრდა



# იური გაბისკირია: ძველი მაინც სხვა იყო

**იური გაბისკირია, როგორც იტყვიან, ეროვნული ჩემპიონატის სათავეებთან იდგა და პირველი ეროვნულის მონაწილეა.**

**პირველლიგელი „ბორჯომის" კაპიტანი, წინა სეზონში „ბოლნისს" რომ კაპიტნობდა, ლანჩხუთელ ზვიად ენდელაძესთან ერთად ჩვენი ჩემპიონატის უმხცოვანესი ფეხბურთელია, ანუ ქართულ ფეხბურთზე სათქმელიც ბევრი აქვს...**

— საკავშირო პირველობიდან რომ გამოვედით, სამი სეზონი ეროვნულ ჩემპიონატში ვითამაშე და მერე უკრაინა და რუსეთი შემოვიარე. უკან ოთხი წლის წინ დავბრუნდი და ბევრი რამ შეცვლილი დამხვდა. სულ აქ რომ მეთამაშა, ცვლილებებს ალბათ ნაკლებად შევამჩნევდი, მაგრამ დიდი ხნით წასული რომ დაბრუნდები, განსხვავებას უფრო ამჩნევ.

...დღეს საქართველოს ჩემპიონატი უფრო სუსტია, ვიდრე თხუთმეტი წლის წინ იყო. მაშინ ეროვნულ ჩემპიონატში საკავშირო პირველობაზე ნათამაშევი ხალხი თამაშობდა. გეხსომებათ, როგორი იყო თუნდაც საკავშირო მეორე ლიგა, პირველზე და უმაღლესზე რომ აღარაფერი ვთქვა. გუნდში იოლად ვერავინ მოხვდებოდა. მერე ის თაობა წავიდა და ახლა უმაღლეს ლიგაში ერთი-ორს რომ გაიფხაკუნებენ, ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ.

...ამ სეზონში პირველ ლიგაში ვთამაშობ და აშკარად ვგრძნობ, რომ პირველი უმაღლესი ლიგისგან ბევრად განსხვავდება. პირველ რიგში საქმისადმი მიდგომას ვგულისხმობ. როცა არც ბაზა გაქვს, ვერც ხელფასებს არიგებ, ნორმალურად ვარჯიშს ვერ ატარებ, მოედანზე რაღა უნდა გააკეთო?! არადა, კარგი გუნდი ამის გარეშე ვერ გეყოლება. უმაღლეს ლიგაშიც არიან გუნდები, ელემენტარული პირობები რომ არ აქვთ, მაგრამ პირველ ლიგაში თითქმის ყველა გუნდი ასეთ დღეშია. მხოლოდ ჩვენ და „ამერი" ვართ, გუნდის მოსამზადებლად ნორმალური პირობების შექმნაზე რომ ვფიქრობთ, თუმცა „ბორჯომთან" შედარებით „ამერი" ამ მხრივ უფრო წინ არის.

...იმედი მაქვს, უმაღლეს ლიგაში გადავალთ, მაგრამ ბაზის, სტადიონის და ნორმალური სავარჯიშო მოედნის გარეშე იქ ვერაფერს გავაწყობთ. მაგრამ მთავარია, რომ ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობას ეს კარგად ესმის და ინფრასტრუქტურის მოწყობაზე მუდმივად მუშაობს.

...ამბობენ, „ბორჯომი" უმაღლესში უკვე გადასულიაო. მთლად ეგრეც არ არის. დარჩენილ ექვს ტურში კიდევ 8 ქულა გვჭირდება და თუ ჩავთვლით, რომ საქმე უკვე მოთავებული გვაქვს, ამ ქულებს ნაღდად ვერ ავიღებთ. ამ სეზონში ძალიან ბევრი ვიშრომეთ და ახლა მთავარია, სეზონის ბოლოს ეს შრომა წყალში არ ჩავყაროთ.

...უმაღლეს ლიგაში თუ გადავალთ, ფეხბურთელების დამატებაც დაგვჭირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდ არჩევანს ვერ ვხედავ. ყველანაირად რომ მოგეწონება, ეგეთი ფეხბურთელები საქართველოში ცოტანი არიან.

...საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელად ვითვლები. მაგრამ მარტო გამოცდილების ხარჯზე ვერ ითამაშებ, ფიზიკური ფორმის და ყოველდღიური ვარჯიშის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. უბრალო მაგალითს გეტყვით. ჯარიმებს კარგად ვურტყამ და ბევრიც გამიტანია. მაგრამ მეორე წრეში ერთხელაც ვერ შევაგდე. იმიტომ, რომ ჯარიმებზე ყოველდღიურად მუშაობის საშუალება არ მაქვს. როგორი გამოცდილიც უნდა იყო, ყოველდღე 50-ჯერ მაინც თუ არ დაარტყი ვარჯიშისას კარში, მატჩის დროს ველარ გაიტან. ფიზიკური მომზადების მხრივ კი, თავს კარგად ვგრძნობ და დარწმუნებული ვარ, სულ ცოტა, ორი წელი კიდევ კარგ ფორმაში ვიქნები. როცა დავინახავ, რომ მეტოქეს ველარ ვეწევი და 90 წუთი გაძლება მიჭირს, თამაშს თავს დავანებებ.

...ჯერ არ ვიცი, კარიერის დასრულების მერე რა საქმეს მოვკიდებ ხელს. სიმართლე გითხრათ, ამაზე არც მიფიქრია. ისე, არა მგონია, მწვრთნელობა დავიწყო — ძალიან რთული პროფესიაა.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

## 31 ტური ანონსი

*ალდგომისწინა დღეს „ქართული კლასიკო" ერთხელაც გამოანათებს. „დინამო" — „ტორპედო" განსაკუთრებული თემაა და 31-ე ტურის მთავარმატჩიც სწორედ „ეროვნულზე" გველის. ახლა ნაღდად არ დავიწყებთ დინამო-ტორპედოსეულის რეალ-ბარსელონისეულთან შედარებას, უხერხული გამოვა და სასაცილოდ არ გეყოფათ, ჩვენც სხვა კუთხით მოვუაროთ ამ თამაშს: აი, თუნდაც ლევან მელქაძისა და გია მეგრელაძის დუელი — დინამოელი ფორვარდი ბომბარდირთა დავაში ორი ბურთით უსწრებს ქუთაისელს, ორივენი ღიად აცხადებენ, ჩემპიონატის პირველმეგოლეობა გულში გვაქვს ამოჭრილიო*

**დინამო** თბილისი

**სავარაუდო შემადგენლობა**

29 დვალიშვილი, 18 მელქაძე, 8 ბაბუნაშვილი, 16 გ. ჭელიძე, 28 ოდიკაძე, 9 ნოზაძე, 3 კანდელაკი, 24 ორბელაძე, 2 ჭიჭველიშვილი, 14 სილაგაძე, 1 ზოიძე


მწვრთნელი
კახა ცხადაძე

„დინამო" — „ტორპედო" რასაც ნიშნავს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჯამარაულის გარდა, კაშიაც დაგვაკლდება. მას მენისკის ოპერაცია სჭირდება. ჯერ არ ვფიქრობთ, რომ უკვე ჩემპიონები ვართ. „ტორპედო" საკმაოდ ძლიერი მეტოქეა.



**მსაჯები:**
ლ. ფანიაშვილი;
გ. ჩიგოგიძე, ზ. მენთეშაშვილი;
მ. მალაღურაძე

**ტორპედო** ქუთაისი

**სავარაუდო შემადგენლობა**

10 მეგრელაძე, 19 ჯიქია, 21 კოშკაძე, 7 ბოლქვაძე, 14 მემარნიშვილი, 13 ნერგაძე, 5 რაქვიაშვილი, 6 ბარაბაძე, 4 ბაქრაძე, 25 გამეზარდაშვილი, 1 მერლანი

ახალაიას გარდა ყველა მწყობრშია, მძიმე თამაში გველის და ერთი ქულაც რომ ავიღოთ, კარგი იქნება. კახა ცხადაძეს ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს, დებიუტანტებიც გამოჩნდნენ და ისინი ყველანაირად ეცდებიან, ძირითადში დაიმკვიდრონ ადგილი.


მწვრთნელი
თემარ გაბელია

# ალდგომისწინა ალდგომა და ხვალეო

## კლასიკო ცხრილში არ იყურება

მეგრელაძემ ამ სეზონში ორჯერ გაუტანა „დინამოს", მელქაძეს კი სამჯერ დაუსჯია „ტორპედო", ოღონდ საამისოდ ერთი თამაში ეყო — ლანჩხუთური 4:1, სადაც ქუთაისელთა თავკაცი ოთარ გაბელია მსაჯებს აუჯანყდა.

ახლა ცხრილს შევხედოთ: კახა ცხადაძის მისვლას დინამოელებმა ზედიზედ ხუთი მოგება მიაყოლეს და წელგამართულები ლიდერობენ, მდევარი კი სწორედ „ტორპედოა", ოღონდ 9-ქულიანი ჩამორჩენა ნამეტანი ბევრია და, ვინძლო, ამოუქაჩველიც. ისე, ზოგადად, მსოფლიოში და საქართველოშიც „კლასიკოს" წინ ცხრილს არ უყურებენ, „დინამო" — „ტორპედოა", მორჩა და გათავდა...

რაც შეეხება მწვრთნელთა დაპირისპირებას, გაბელიას ცხადაძეზე დიდი სტაჟი აქვს, მაგრამ თამაშს მარტო მწვრთნელი, მით უმეტეს, მისი სტაჟი არ იგებს: ცხადაძეს უფრო მომზადებული გუნდი ჰყავს, შემადგენლობაც უჭრის და, მოდით, შევთანხმდეთ, რომ „დინამო" ფავორიტია. წინა ტურში თბილისელებმაც იმარჯვეს და იმერლებმაც, ოღონდ „კლასიკოს" მასპინძლებს „თბილისთან" მოგება შოთა კაშიასა და დავით ოდიკაძის ტრავმებად დაუჯდათ, თუმც ოდიკაძე დღეს ითამაშებს.

**დინამო — ტორპედო**

**ურთიერთშეხვედრების ბალანსი:**
+20=9-9 68:37
თბილისში: +11=4-4

**ამ სეზონში:**
ტორპედო — დინამო 1:1
დინამო — ტორპედო 1:2
ტორპედო — დინამო 1:4

ძალიანაც რომ არ გინდოდეს, სადაც „დინამო" — „ტორპედოა", იქ ტურის სხვა მატჩები იჩრდილება. აბა, რა ინტრიგა უნდა დაჰკრავდეს „თბილისის" გორში სტუმრობას?! არც არაფერი, ლუის ცაკარიასის ბიჭები უთუოდ სამ ქულას წამოიღებენ და, ვინძლო, მეორე საფეხურზეც ახტნენ. „თენგიზ ბურჯანაძე" ძველებურად აღარ გრგვინავს, გორელმა ქომაგებმა სულთმობრძავი „დილას" საცოდაობას უკვე მიაჩვიეს თვალი და სულაც ტალღები რომ ააგორონ, რა აზრი აქვს...

დაახლოებით გორელთა დღეშია „ბათუმიც", ოღონდ აჭარელებს პირველ ეტაპზე მოხვავებული ქულები უმაგრებთ ზურგს და უმაღლესი ლიგიდან გავარდნა ჯერ არ ემუქრებათ. ზღვისპირელებს უმოტივაციო „ვიტ ჯორჯია" სტუმრობს. ვიტელთა თავკაცმა ჯანი კარნევალიმ ამას წინათ თქვა, ბათუმში ახალგაზრდებს ჩავიყვან, ძირითადებს კი საოთხმაისო სათასო ნახევარფინალისთვის შემოვინახავო. ესეც კიდევ ერთი შანსი ნუკრი გოგიტიძის გაძვალტყავებული „ბათუმისთვის".

აჭარელებს სოლიდარობას უცხადებს ასევე ზღვისპირული „კოლხეთი", რომელსაც ფოთის პორტის მზრუნველი ხელი მოაკლდა. რამდენიმე ტურია, სერგო გაბელაია ბავშვებით გადის ფონს (გადის, რო?..), დღეს კი ბობოქარ „ზესტაფონს" ნალები შემადგენლობით დაუხვდება. არა, კოლხებს პატრონი არ გამოსჩენიათ, უბრალოდ, პორტმა თვეობით დაგროვილი დავალიანება გაუსტუმრა ფეხბურთელებს. გაბელაია იმედოვნებს, ზესტაფონელებთან მატჩის შემდეგ ვინმე ღვთისნიერი მოგვხედავსო. აბა, თუ ასე არ მოხდა, ისედაც ქვედა ლიგაში ფეხჩაფლულ „კოლხეთს" მამაზეციერიც ვერ ამოსწევს — ფოთელები ხომ უკვე 5 ქულით ჩამორჩნენ მერვეადგილოსან „სიონს", რომელიც დღეს წლეულს წაუგებელ „ლოკომოტივს" მასპინძლობს. ნოდარ აკობიას გაწვრთნილებმა სასწაული ტემპი აკრიფეს და მეორე ადგილსაც ერთი ხელის გაწვდენაზე ხედავენ. „ლოკოს" აღმასვლა მით უფრო საკვირველია მიხეილ ბობოხიძის უგოლობის ფონზე — „ბობომ" პირველ ეტაპზე 10 გოლი გაიტანა, ახალი წლიდან კი ერთხელაც ვერ იხეირა [illegible] ბია დიდად არ უნდა საღელვებდეს, ნიჭიერი ახალგაზრდები და [illegible] ჯანი...

„სიონი" — „ლოკომოტივის" [illegible] ტოტალიზატორის [illegible] ზე რომ ვთქვათ, [illegible] თამაშია. ბოლნისელებს [illegible] თამაშის მოგებაც [illegible] თავის ქულში დასაგულებელია. [illegible] ლებში კი ეს კარგად [illegible]

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 20 | 4 | 6 | [illegible]:25 | 64 |
| ტორპედო | 30 | 15 | 10 | 5 | 47:25 | 55 |
| თბილისი | 30 | 16 | 6 | 8 | [illegible]:35 | 54 |
| ლოკომოტივი | 30 | 13 | 13 | 4 | 35:19 | 52 |
| ზესტაფონი | 30 | 14 | 4 | 12 | [illegible]:41 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 12 | 8 | 10 | 49:33 | 44 |
| ბათუმი | 30 | 8 | 11 | 11 | 32:26 | 35 |
| სიონი | 30 | 9 | 4 | 17 | 28:51 | 31 |
| კოლხეთი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:48 | 26 |
| დილა | 30 | 2 | 3 | 25 | 16:74 | 9 |


ამ სეზონში „ტორპედომ" „დინამოს" თბილისში 2:1 მოუგო

ბათუმი. 30 აპრილი. 16 საათი. დინამო

### ბათუმი — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **ინსპექტორი:** ბ. მჭედლიშვილი

გორი. 30 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — თბილისი

**მსაჯები:** მ. მასურაძე; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); **ინსპექტორი:** ს. კოტრიკაძე

ფოთი. 30 აპრილი. 16 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ზესტაფონი

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **ინსპექტორი:** ა. შალამბერიძე

მცხეთა. 11 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი

### სიონი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. შილაკაძე (თბილისი); **ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

# თქვენი ინტერვიუ

# კახა კალაძესთან

**«მილანი» მილანი. იტალია**



| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაიბადა 27.02.78; სიმაღლე 1,86 მ; წონა 76 კგ | | | | | | | |
| 1993-94 | დინამო (თბილისი) | 9 | 1 | 1999-00 | დინამო (კიევი, უკრაინა) | 25 | 1 |
| 1994-95 | დინამო (თბილისი) | 23 | - | 2000-01 | დინამო (კიევი, უკრაინა) | - | - |
| 1995-96 | დინამო (თბილისი) | 23 | - | 2001 | მილანი (იტალია) | 17 | 3 |
| 1996-97 | დინამო (თბილისი) | 12 | - | 2001-02 | მილანი (იტალია) | 30 | 4 |
| 1997-98 | დინამო (თბილისი) | 15 | - | 2002-03 | მილანი (იტალია) | 27 | - |
| 1998 | დინამო (კიევი, უკრაინა) | 13 | 2 | 2003-04 | მილანი (იტალია) | 6 | - |
| 1998-99 | დინამო (კიევი, უკრაინა) | 25 | 3 | 2004-05 | მილანი (იტალია) | 15 | 1 |
| საქართველოს ნაკრებში 42 მატჩი | | | | | | | |

**საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძესთან „თქვენი ინტერვიუ“, შეპირებისამებრ, თქვენ წინაშეა.**

**გასაკვირი არ არის, რომ კახა კალაძესთან, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, „მილანის“ მცველთან და ქართველი ქომაგის ერთ-ერთ საყვარელ მოთამაშესთან კითხვები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ჩვენი რუბრიკის სხვა „მასპინძლებთან“. ამასთან, რამდენიმე მკითხველს ერთი და იგივე აინტერესებდა, მაგალითად, კალაძე რომ „ბარსელონამ“ მიიწვიოს, მიიღებს თუ არა ესპანელთა წინადადებას და კიდევ, აპირებს თუ არა კალაძე საფეხბურთო კარიერის საქართველოში დასრულებას. აქედანვე შევთანხმდეთ, რომ ამ კითხვებზე თქვენმა დღევანდელმა რესპონდენტმა ერთხელ უპასუხა.**

**მოკლედ, დავიწყეთ: „სარბიელის“ მკითხველი იტალიის „მილანის“ ქართველ ფეხბურთელს კახა კალაძეს ეკითხება...**



ბაჩანა კალიჩავას ფოტო

*გიორგი გველესიანი*

*13 წლის, თბილისი*

**— თქვენ რომ იყოთ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, პირველ ყოვლისა, რას გააკეთებდით?**

— მივხედავდი ბავშვთა ფეხბურთს და შევმოვიღებდი ისეთ წესკანონს, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს არ ჰქონდეს ორი ათას დოლარზე ნაკლები ხელფასი. თორემ ახლა რა გამოდის, ყველა გარბის! წასვლის უპირველესი პირობა კი მისი ხელფასია. არაფერს ვამბობ ევროპაზე, უკრაინის და რუსეთის პირველი ლიგის გუნდებიც გაცილებით უკეთეს პირობას სთავაზობენ ქართველ ფეხბურთელებს, ვიდრე ჩვენი ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

**— რას გვირჩევდით ახალგაზრდა ფეხბურთელებს: როგორ გავხდეთ კარგი ფეხბურთელები?**

— მთავარი შრომაა. საქართველოში უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ გზა და გზა ისინი იკარგებიან თუ მოიხდომებ, ყველაფერი გამოვა.

*ემი დავითიანი*

*17 წლის, ზუგდიდი*

**— სამტრედიაში რა ადგილას ცხოვრობდით და რომელ სკოლაში სწავლობდით?**

— დავამთავრე მე-13 საშუალო სკოლა. ვცხოვრობდი ქალაქის ცენტრში.

**— რა უნდა გააკეთოს ქომაგმა იმისთვის, რათა გაგიცნოს და დაგიახლოვდეს?**

— უნდა მიქომაგოს.

**— შენი პირველი სიყვარული?**

— პირველად მაშინ შემიყვარდა, როცა კიევის „დინამოში“ გადავედი. ეს იყო 1998 წელს.

**— შეძლებთ თუ არა შეიყვაროთ ისეთი ადამიანი, რომელიც თქვენსავით მდიდარი და პოპულარული არ არის?**

— რა თქმა უნდა. სიმდიდრე და პოპულარობა ჩემთვის სულ ერთია. მთავარია, ჩემი რჩეული კარგი ადამიანი იყოს.

*ვალერიან თორდია*

*58 წლის, თბილისი*

**— განეკუთვნებით თუ არა იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს ნაკრების წარუმატებლობა ფეხბურთელთა არაპროფესიონალიზმის ბრალია?**

— არა. სჯობს, არაპროფესიონალიზმამდე სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ვისაუბროთ. არაპროფესიონალიზმზე კი ბოლოს ვთქვათ.

**— ის ფაქტი, რომ „მილანში“ სისტემატურად არ თამაშობთ, თქვენს კარიერაზე უარყოფითად ხომ არ მოქმედებს?**

— არა. ისეთ გუნდში თამაში მიჯობს, რომელიც ჩემპიონთა ლიგისა და იტალიის ჩემპიონატის მომგებია. სულაც არ ვფიქრობ, რომ სისტემატურად ვერ ვთამაშობ, მთელ სეზონს შეუსვენებლად ვერავინ ითამაშებს.

**— გადახვიდოდით თუ არა „ბარსელონაში“, მხოლოდ თქვენი თანხმობა რომ იყოს საჭირო?**

— არ გადავიდოდი. ახლაც დიდ გუნდში ვთამაშობ.

**— თქვენი აზრით, არის თუ არა ბრაზილიური ფეხბურთი საუკეთესო? თუ არა, რომელს თვლით საუკეთესო ნაკრებად?**

— ბრაზილია, რა თქმა უნდა, მომწონს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დღეს საუკეთესო ნაკრებია. ფეხბურთი თამაშია და სიურპრიზებიც ბევრია.

*მამუკა მენაბდე*

*24 წლის, ხონი*

**— ვინ არის საქართველოს ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი და საერთოდ, საქართველოს ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელი?**

— მე საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვარ და ჩემგან საუკეთესოების დასახელება უხერხულია.

*მერაბ მექირიშვილი*

*45 წლის, თბილისი*

**— თქვენ და ანდრეი შევჩენკო ეკლესიურად თუ ცხოვრობთ?**

— ჩვენ სპორტსმენები ვართ და, გვინდა თუ არა, ისე ვიკვებებით, როგორც აუცილებელია. ისე კი, რა თქმა უნდა, მე და ანდრეი ხშირად დავდივართ ხოლმე მართლმადიდებლურ ეკლესიაში და ვლოცულობთ.

*ბელა გოგილაშვილი*

*17 წლის, თბილისი*

**— როგორ ფიქრობთ, რაღაცრაღაცეებში ნესტას და მალდინის ხომ არ ემსგავსებით, თუნდაც ვარცხნილობით?**

— არა, ასე არ ვთვლი. თუ ვარცხნილობა არ გიხდება, სხვას რატომ უნდა მიბაძო?!

*ლელა გოგილაშვილი*

*19 წლის, თბილისი*

**— მაინცდამაინც დიდი პრემია უნდა გადაგიხადონ, რათა ნაკრებში მონდომებით ითამაშოთ?**

— ვწუხვარ, რომ საქართველოში კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ასე ფიქრობენ.

*დავით ცხომელიძე*

*51 წლის, თბილისი*

**— აპირებთ თუ არა საფეხბურთო კარიერის საქართველოში დასრულებას?**

— საფეხბურთო კარიერის საქართველოში დასრულებას არ ვაპირებ. მსურს, რომ საფეხბურთო სარბიელი ამაყმა დავტოვო.

**— რა მსგავსება და განსხვავებაა ქართველ და იტალიელ სპორტულ ჟურნალისტებს შორის?**

— დიდი არაფერი. საქართველოშიც და იტალიაშიც საფეხბურთო ჟურნალისტთა 80 პროცენტმა ფეხბურთი არ იცის.

**— რა აზრის ხართ საქართველოში საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნაზე და იტალიაშიც თუ არის ასეთი?**

— არის, რა თქმა უნდა, „რაი“. საზოგადოებრივი ტელევიზიის შე-









ვალერი კოკილაშვილის ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნას კი მივესალმები.

**— ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ქართულ ფეხბურთზე ფილმები გადაიღეს. არის ასეთი ფილმები იტალიაში?**

— არის. განსაკუთრებით მომწონს პაოლო მალდინიზე და ანდრეი შევჩენკოზე გადაღებული ფილმები. იტალიაში უამრავი ასეთი ფილმია და ყველას დიდი ყურადღებით ვუცქერ ხოლმე.

**— „რეალთან“ თამაშისას ფიგუ გამოთიშეთ, არადა, ქართველ ფეხბურთელებს პორტუგალიელებთან ყოველთვის უჭირდათ.**

— თუ „დინამო“ — „სპორტინგზე“, „დინამო“ — „ბრაგაზე“ და „დინამო“ — „ბოავიშტაზე“ ამბობთ, არ ვიცი... ფაქტია, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთის დონე ძალიან დაბალია. პირადად კი, ფიგუს ხან „გავთიშავ“, ხან ვერა, გააჩნია...

**— ბავშვობაში თუ გრძნობდით, რომ დიდი ფეხბურთელი გახდებოდით?**

— ეს ჩემი ოცნება იყო, დაბადებიდან მაქსიმალისტი ვარ.

**— რამდენად ახლოსაა ფეხბურთი და პოლიტიკა იტალიაში და საქართველოში?**

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ ფეხბურთის და პოლიტიკას საერთო არაფერი აქვთ. პოლიტიკა ბინძური საქმეა. ასეა იტალიაშიც და ასეა საქართველოშიც.

**— რატომ ვერ ამაღლდა საქართველოში მსაჯობის დონე?**

— პასუხი, ვფიქრობ, უკვე გითხარით — პირობები.

**— ფეხბურთელი კალაძე რა კომპონენტების დახვეწას აპირებს და რა სიახლეს უნდა ველოდოთ თქვენს თამაშში?**

— ეს სათამაშო ფორმა უნდა შევინარჩუნო, თორემ, ახლა ისეთი ასაკი მაქვს, ახალს ვერაფერს მოვიმოქმედებ.

**— ფეხბურთში აგრესიამ იმატა. ამ ფაქტს თქვენ როგორ ეგუებით?**

— ძველი ფეხბურთი ნელი და ტექნიკური იყო. ახლა სწრაფი და ტაქტიკურია, მე ასეთი მირჩევნია.

*მარი თუშური*

**— „მილანის“ ფანი ვარ და იტალიურსაც ვსწავლობ, განსაკუთრებით ნესტაზე ვგიჟდები. თუ შეგიძლიათ, მისი ელ-ფოსტის მისამართი მითხრათ?**

— სამწუხაროდ, არ ვიცი.

*იური ბელოვანი*

*70 წლის, სამტრედია*

**— ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებმა საუკეთესოდ 2000 წლის 11 ოქტომბერს ანკონაში, იტალიასთან ითამაშა. მსაჯობა რომ არა, მატჩი ფრედ დასრულდებოდა. იმავე შესარჩევში, 28 მარტს რუმინეთთან საქართველომ განგებ დათმო თამაში — 27 მარტს ფეხბურთელები სულაც შინ გაუშვეს.. და საერთოდ, რას იტყვით რევაზ ძოძუაშვილზე?**

— ვერ წარმომიდგენია, თამაში განგებ როგორ უნდა დათმო. პირადად ჩემთვის საქართველოს ნაკრები უპირველესია. დღესდღეობით ფეხბურთს უდაზღვევოდ ვერ ითამაშებ, ასეთი დაზღვევა კი საქართველოს ნაკრების უცხოეთში მოთამაშე ყველა ფეხბურთელს აქვს. ასე რომ, კოჭების გაფრთხილებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

**— შეგვეძლო თუ არა, თავისუფლად დაგვეკავებინა მეორე ადგილი ამ შესარჩევ ჯგუფში?**

— ჩვენს შესარჩევ ჯგუფში საკმაოდ ძლიერი გუნდები არიან თავმოყრილნი და მეორე ადგილს იოლად ვერავინ დაიკავებს.

*ნატო ხერიკაშვილი*

**— როდის განახლდება თქვენი ვებ-გვერდი?**

— სეზონის ბოლოს.

**— ხართ თუ არა ქველმოქმედი?**

— რა თქმა უნდა.

**— თქვენი აზრით, ვინ არის თანამედროვე ფეხბურთში საუკეთესო მეკარე, მცველი, ნახევარმცველი და თავდამსხმელი?**

— მეკარე დიდა, მცველი მალდინი, ნახევარმცველი კაკა, თავდამსხმელი შევჩენკო.









# ნემსი კანავაროს ვენაში

## სკანდალი, რომელიც შესაძლოა, თითიდან იყოს გამოწოვილი





**იტალიაში** ახალი დოპინგ-სკანდალი აგორდა და მის ცენტრში „იუვენტუსის" ცენტრალური მცველი ფაბიო კანავარო მოექცა.

საქმე კი ასეა: ხუთშაბათს, 28 აპრილს, ქვეყნის სახელმწიფო არხმა RAI-მ გაავრცელა საკუთრივ კანავაროს გადაღებული ვიდეოკადრები, რომელზედაც აღბეჭდილია, თუ როგორ იკეთებს იგი 1999 წლის უეფას თასის ფინალის წინ მოსკოვის სასტუმრო „გრანდ ოტელ მარიოტში" ნემსს.

მაშინ ფაბიო კანავარო „პარმაში" თამაშობდა, ფინალში კი იტალიელებმა ფრანგულ „მარსელს" 3:0 მოუგეს და უეფას თასი მოიპოვეს.

კადრებზე აგრეთვე ჩანს „პარმას" რამდენიმე მოთამაშე, ექიმი და ერთი-ორი სხვა ადამიანი...

**RAI**-ს მიერ ამ კადრების გავრცელება და კანავაროს ვექილის, პაოლო ტროფინოს საჯაროდ გამოჩენა ერთი იყო. ვექილმა დაუყოვნებლივ განუმარტა საზოგადოებას, რომ პრეპარატი, რომელსაც მისი კლიენტი კადრში ინექციის გზით იღებს, არის ნეოტონი.

თურმე ნეოტონი ჩვეულებრივ გულის ოპერაციების დროს გამოიყენება, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მისი პირველადი დანიშნულება სპორტში იგი არავის აუკრძალავს და, შესაბამისად, გავრცელებულ, კადრებზე არაფერი არალეგალური არ არის ასახული.

„ნეოტონი კუნთების რეგენერაციას უწყობს ხელს და მისი მიღება აკრძალული არ არის — ბრძანა ვექილმა, შემდეგ კი დასძინა — ჩვენ ძლიერ შევშფოთდით, რადგან ფაბიო კანავაროს შესაძლოა, დაუმსახურებლად შეებღალოს სახელი. თავად წარმოიდგინეთ, შედიხართ თამაშის წინ ფეხბურთელის ოთახში და ხედავთ, რომ იგი ნემსს იკეთებს. ბუნებრივია, ეს სურათი ახსნა-განმარტების გარეშე დიდ ეჭვს აღძრავს და მასზე ხალხის წამოგება იოლი საქმეა."

თავად ფაბიო კანავარომ, ტელეკომპანია **RAI** -ს შეუთვალა, რომ თუ ამ ვიდეოკადრების გავრცელების გამო მას ვინმე რაიმე არალეგალურის ჩადენაში დასდებს ბრალს, იგი აუცილებლად იჩივლებს სასამართლოში. არადა, მართლაც ფაქტია, რომ მიუხედავად ნეოტონის ლეგალურობისა, ხსენებული კადრები ფეხბურთელის იმიჯს აშკარად ჩირქს ცხებს.

„ახლა, ალბათ, ბევრ ადამიანს გაუჩნდება ეჭვი, რომ კანავარო ყოველი შეხვედრის წინ ნემსებს იკეთებს — განაცხადა მისმა როგორც მაშინდელმა, ისევე ახლანდელმა თანაგუნდელმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ფრანგმა ლილიან ტურამმა — გასახდელებში ძალიან ბევრ რამეს ვაკეთებთ ჩართული ვიდეოკამერის წინ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ეთერში უნდა გაუშვან. სამწუხაროდ, ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ხალხი, თუნდაც სულ მცირე პატიოსნებას რომ შეამჩნევს, მყისვე მის დაბინძურებას ცდილობს. კაცი, რომელმაც საერთოდ ფეხბურთს და, კერძოდ, იტალიის ნაკრებს ამდენი შესძინა და ასე ემსახურა, მეტ პატივისცემას იმსახურებს."

ამ ამბავს, გაგრძელება, რა თქმა უნდა, ექნება.

**ბაკურა ძიდია**

# თალლითი

## სიცოცხლის ბოლომდე ვირის აბანოში

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირმა თაღლითობაში მხილებულ მსაჯ რობერტ ჰოიზერს „სასტვენი ჩამოართვა" ანუ მსაჯობა სამუდამოდ აუკრძალა.

ჰოიზერმა აღიარა, რომ რამდენიმე მატჩში „ცალმხრივად უსტვენდა" და სანაცვლოდ 67 ათასი ევრო მიიღო ერთ-ერთი საბუკმეკერო კანტორისგან.

„რობერტ ჰოიზერმა გერმანული ფეხბურთის, განსაკუთრებით კი მსაჯების სახელი შელახა" — თქვა საფეხბურთო კავშირის წევრმა რაინერ კოხმა.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დასჯილ მსაჯს 50 ათას ევროსაც გადაახდევინებენ, ჩვენ კი შევახსენებთ, რომ თაღლითი ჰოიზერი გერმანიის სათასო მატჩში, „ჰამბურგსა" და „პადერბორნს" შორის



რობერტ ჰოიზერი

პადერბორნელთა სასარგებლოდ გაისარჯა, რის შედეგად „ჰამბურგი" დაიჩაგრა და თასიდან გავარდა.

ახლა გერმანიის საფეხბურთო კავშირი უსამართლოდ დაჩაგრულ კლუბს საკომპენსაციოდ 2 მილიონი ევროს გადახდას ჰპირდება.

**გაგა ხუციშვილი**

## Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

| III ჯგუფი. V ტური | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სთრონგესტი (ბოლივია) 2:1 კილმესი (არგენტინა)** | | | | | | |
| სან პაულუ (ბრაზილია) | 5 | 2 | 3 | 0 | 13:9 | 9 |
| უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) | 5 | 2 | 2 | 1 | 8:8 | 8 |
| სთრონგესტი (ბოლივია) | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| კილმესი (არგენტინა) | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |

| IV ჯგუფი. V ტური | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სერო პორტენო (პარაგვაი) 1:0 სანტო ანდრე (ბრაზილია)** | | | | | | |
| სერო პორტენო (პარაგვაი) | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 11 |
| პალმეირასი (ბრაზილია) | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| სანტო ანდრე (ბრაზილია) | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |




**იტალიური** „ლაციოს" ნახევარმცველმა სეზარმა აღნიშნა, რომ კარიერის „სტადიო ოლიმპიკოზე" დასრულება უნდა. „ქომაგები შიშობენ, „მილანში", „ინტერში" ან „იუვენტუსში" არ გადავიდე, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ — აქედან წასვლას არ ვაპირებ. მსურს, კარიერა „ლაციოში" დავასრულო. უკვე შევხვდი გუნდის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს და თითქმის ყველაფერზე მოვილაპარაკეთ" — აღნიშნა 30 წლის ბრაზილიელმა.

**ინგლისურ** **პრემიერლიგაში დაბრუნებული „სანდერლენდის" უფროსობა გუნდში ყოფილი ლიდერის, კევინ ფილიპსის დაბრუნებას არ გამორიცხავს. შეიძლება, მათ „საუთჰემპტონის" მეორე ფორვარდი პიტერ კრუჩიც შეუერთდეთ. „ახლა „წმინდანები" უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან და ჯერ მოლაპარაკების დაწყება არაკორექტული იქნება. ყველაფერი ზაფხულში გადაწყდება" — თქვა „სანდერლენდის" თავკაცმა მიკ მაკარტიმ.**

**ფრანგული** „ლიონის" მთავარმა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ იცის, დარჩება თუ არა პოსტზე მომავალ სეზონში. „მიხარია, რომ ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელობას ჩემი შენარჩუნება ასე უნდათ, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ამ კითხვაზე პასუხს მას მერე გაგცემთ, როცა ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებას ოფიციალურად გავინაღდებთ. იმის თქმა კი ახლავე შემიძლია, რომ პსჟ-ში ჩემი გადასვლის შესახებ საუბრები სიმართლეს არ შეესაბამება" — თქვა ახალგაზრდა სპეციალისტმა.

**ინგლისური** **„არსენალის" ლიდერ, ტიერი ანრის სარეაბილიტაციო პერიოდი ძალიან იწელება და მისი დაბრუნების ზუსტ თარიღს ექიმები ჯერაც ვერ ამბობენ. სავარაუდოდ იგი „მანჩესტერთან" ქვეყნის თასის ფინალში ვერ ითამაშებს. ეს განცხადება „მეთოფეთა" თავკაცმა არსენ ვენგერმა გააკეთა.**

**პორტუგალიის** ნაკრებისა და „მანჩესტერის" ნახევარმცველი კრისტიანო რონალდო „რეალის" ყურადღების ცენტრში მოექცა. მადრიდელთა თავკაცმა ვანდერლეი ლუშემბურგომ აღნიშნა, რომ ასეთ ფეხბურთელთან სიამოვნებით ვიმუშავებდიო. როგორც ამბობენ, „სამეფო კლუბი" „მანჩესტერს" რონალდოს სანაცვლოდ ლუიშ ფიგუში გაცვლას შესთავაზებს. მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელით თავის მხრივ, „წითელი ეშმაკები" არიან დაინტერესებულნი.

**იტალიური** **„კალიარის" ერთ-ერთ ლიდერ მაურო ესპოზიტოს თქმით, იგი მზად არის, მომავალ ზაფხულს „ინტერს" შეუერთდეს, თუ მილანელთაგან სერიოზულ წინადადებას მიიღებს. „ეს ჩემთვის დიდი სტიმული და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ჩემით უცხოური კლუბებიც არიან დაინტერესებულნი, მაგრამ მინდა სამშობლოში დავრჩე და ეროვნულ ნაკრებში მოხვედრისთვის ვიბრძოლო" — თქვა 26 წლის ნახევარმცველმა.**

**ინგლისური** „ჩელსის" ფორვარდ დიდიე დროგბას უმცროსი ძმა ჟოელ დროგბა ხორვატიულ „ზაგრებში" გადადის. 22 წლის თავდამსხმელი საკმაოდ პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება. „იგი მშვენიერი მოთამაშეა და გუნდს დაეხმარება. თანაც გულშემატკივრებს მოიზიდავს, დიდიე დროგბას ძმის ნახვა ხომ ბევრს მოუნდება" — თქვა ზაგრებელთა მწვრთნელმა მილე პეტკოვიჩმა.

**ესპანური** **„სარაგოსას" ხელმძღვანელებმა განაცხადეს, გაბრიელ მილიტოს მსურველებს 12 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევთო. მოგეხსენებათ, არგენტინელს რამდენიმე კლუბი უტრიალებს, მათ შორის „მანჩესტერი" და „ბარსელონა". როგორც ამბობენ, ინგლისელებმა პირინეელებს 8 მილიონი უკვე შესთავაზეს და „სარაგოსამაც" თავის ფეხბურთელს ფასი ამის შემდეგ დაადო.**

**იტალიური** „იუვენტუსის" ფრანგმა მცველმა ლილიან ტურამმა შეიძლება 2006 წელს კარიერა დაასრულოს. „გუნდთან კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს მეწურება და წასვლა არ მინდა, მაგრამ თუ ჯანმრთელობა საშუალებას აღარ მომცემს, რომ სათანადოდ ვითამაშო, სხვა გზა არ მექნება" — თქვა 33 წლის ვეტერანმა.

**ინგლისური** **„ნიუკასლი" და „ევერტონი", „ინტერის" თურქ ნახევარმცველ ემრეს უტრიალებენ. მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი მილანელთა ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და გუნდის დატოვებას აპირებს. ემრეს აგენტის თქმით, ფეხბურთელი „ნისლიან ალბიონზე" გადაბარგებაზე უარს არ იტყვის.**

**გერმანული** დორტმუნდის „ბორუსია" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ევანილსონმა დატოვა. 29 წლის ნახევარმცველს დორტმუნდელთა თავკაც ბერტ ვან მარვეიკთან უთანხმოება მოუვიდა და სამშობლოში დაბრუნებაც ამად გადაწყვიტა. ევანილსონი „ატლეტიკო მინეიროში" ჩაირიცხა. „რამდენიმე წინადადება ბუნდესლიგის კლუბებისგანაც მქონდა, მაგრამ სამშობლო მომენატრა და ბრაზილიაში დაბრუნება ვარჩიე" — აღნიშნა ევანილსონმა.

**საფრანგეთის** **ნაკრების ყოფილი კაპიტანი მარსელ დესაი კარიერის კიდევ ერთი წლით გაგრძელებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ 36 წლის ფეხბურთელი ცოტა ხნის წინ „ალ გარაჰაფის" რიგებში ყატარის ჩემპიონი გახდა. „უკვე გადავწყვიტე, რომ მომავალ სეზონში ისევ ვითამაშებ. დანარჩენს კი დრო გვაჩვენებს" — განაცხადა დესაიმ.**

**არგენტინელმა** თავდამსხმელმა ხავიერ სავიოლამ კიდევ ერთხელ გამოთქვა „ბარსელონაში" დაბრუნების სურვილი. იგი მზად არის, ხელფასის შემცირებასაც დასთანხმდეს, თუმც ამის შანსი ძალიან მცირეა. „არა მგონია, ხავიერს „ბარსელონაში" მომავალი ჰქონდეს" — ცოტა ხნის წინ თქვა კატალონიელთა თავკაცმა ფრანკ რაიკარდმა.

**იტალიურმა** **„იუვენტუსმა" იაპონური ტურნე დაგეგმა — ტურინელები ამომავალი მზის ქვეყანაში 30 ივნისიდან 8 ივლისამდე იქნებიან და ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ: 1 ივლისს ისინი „იოკოჰამას" შეხვდებიან, ხოლო 7-ში „ტოკიოს".**

## იტალია

გიორგი კაკაბაძე



ზლატან იბრაჰიმოვიჩის აპელაცია არც განიხილეს

# შეხვედრა წარსულთან
## სერიული დაძაბულობა

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კალიარი | : | რეჯინა |
| ფიორენტინა | : | მილანი |
| **ხვალ** | | |
| უდინეზე | : | ატალანტა |
| იუვენტუსი | : | ბოლონია |
| რომა | : | ბრეშა |
| პალერმო | : | კიევო |
| ლეჩე | : | ლაციო |
| პარმა | : | ლივორნო |
| მესინა | : | სამპდორია |
| ინტერი | : | სიენა |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 33 | 22 | 7 | 4 | 55:20 | 73 |
| იუვენტუსი | 33 | 22 | 7 | 4 | 56:22 | 73 |
| ინტერი | 33 | 14 | 17 | 2 | 58:37 | 59 |
| სამპდორია | 33 | 16 | 7 | 10 | 36:25 | 55 |
| უდინეზე | 33 | 15 | 8 | 10 | 50:36 | 53 |
| პალერმო | 33 | 12 | 12 | 9 | 39:35 | 48 |
| ლივორნო | 33 | 11 | 10 | 12 | 39:44 | 43 |
| მესინა | 33 | 11 | 10 | 12 | 37:44 | 43 |
| ლაციო | 33 | 11 | 8 | 14 | 41:43 | 41 |
| კალიარი | 33 | 10 | 11 | 12 | 46:52 | 41 |
| ბოლონია | 33 | 9 | 13 | 11 | 30:30 | 40 |
| რომა | 33 | 10 | 9 | 14 | 51:54 | 39 |
| რეჯინა | 33 | 10 | 9 | 14 | 31:40 | 39 |
| ლეჩე | 33 | 9 | 11 | 13 | 54:60 | 38 |
| სიენა | 33 | 7 | 15 | 11 | 36:48 | 36 |
| კიევო | 33 | 9 | 8 | 16 | 27:45 | 35 |
| ფიორენტინა | 33 | 7 | 13 | 13 | 35:46 | 34 |
| ბრეშა | 33 | 9 | 7 | 17 | 31:44 | 34 |
| პარმა | 33 | 8 | 10 | 15 | 37:55 | 34 |
| ატალანტა | 33 | 7 | 10 | 16 | 30:39 | 31 |

**იტალიის** ჩემპიონატის დასრულებამდე რაც უფრო ცოტა დრო რჩება, ცხრილის ზედა და ქვედა ნაწილში კითარება უკიდურესად იძაბება.

ამ ტურს წინ უსწრებს ფაბიო კანავაროს გარშემო ატეხილი სკანდალი. გარდა ამისა, არ დაკმაყოფილდა „იუვენტუსის“ აპელაცია ზლატან იბრაჰიმოვიჩის დისკვალიფიკაციაზე, რითაც ტურინელები ძალიან უკმაყოფილონი დარჩნენ და... ახლა ისინი „ფიორენტინას“ იმედზე არიან — ფლორენციას, სადაც თავად „ბებერმა ქალბატონმა“ ორი კვირის წინ უკვე დაკარგა ქულები, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „მილანი“ სტუმრობს. ტურის ცენტრალური მატჩიც სწორედ „არტემიო ფრანკიზე“ გასამართი დაპირისპირებაა.

ეს შეხვედრა არანაკლებ მნიშვნელოვანია „ფიორენტინასთვისაც“ — ლეგენდარული ლიბო ძოფის გუნდი ცხრილის ფსკერზე იმყოფება და სერია A-ში დარჩენას ყველანაირად ცდილობს.

ფლორენციელები ჩემპიონს, ფაქტობრივად უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდებიან, დარიო დაინელის დისკვალიფიკაციას თუ არ ჩავთვლით. სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე იქნება ვალერი ბოჯინოვი, ბულგარელმა ტრავმის მერე ფორმის აღდგენა ჯერ ვერ შეძლო.

მილანელებს კი გარკვეული პრობლემები აქვთ დაცვაში: პაოლო მალდინი, კახა კალაძე და მასიმო ამბროზინი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ. ვთქვათ ისიც, რომ „ფიორენტინას“ ყოფილ ვარსკვლავ მანუელ რუი კოშტას კარლო ანჩელოტი ძირითად შემადგენლობაში დაყენებას უპირებს.

ბოლოს ამ გუნდების პირველი მატჩიც გავიხსენოთ — „სან სიროზე“, „მილანმა“ მეტოქე 6:0 გაანადგურა. ეს „ფიორენტინას“ ყველაზე ცუდი თამაში და სამარცხვინო მარცხი იყო ამ ჩემპიონატში.

ამასობაში, „მილანის“ უმთავრესი მდევარი „იუვენტუსი“ თავისთვის ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქეს, „ბოლონიას“ მასპინძლობს. ტურინელებს კვლავ პრობლემები აქვთ შემადგენლობასთან დაკავშირებით, თუმც გუნდს ემერსონი და ალესანდრო დელ პიერო უბრუნდებიან, ხოლო სტუმრებს მხოლოდ სტეფანო ტორიზი არ ეყოლებათ.

აღვნიშნოთ ისიც, რომ კარლო მაცონეს „ბოლონიას“ უკვე ექვსი მატჩია, არ მოუგია. ტურინელებს კი ამდენივე გამარჯვება აქვთ ბოლო 8 შეხვედრიდან. წინა ტურში, „ბებერმა ქალბატონმა“ 85-ე წუთზე პაველ ნედვედის გოლით მძიმე ბრძოლაში სძლია „ლაციოს“ ანუ ზუსტად ისე, როგორაც პირველი წრის თამაშში „ბოლონიასთან“.

გავიხსენოთ ისიც, რომ ხუთი წლის წინათ „იუვენტუსს“ ჩემპიონობა სწორედ კარლო მაცონემ და მისმა გაწვრთნილმა „პერუჯამ“ წაართვა.

მძიმე ბრძოლა ელის ვალტერ ნოველინოს „სამპდორიასაც“ — გენუელებს მეოთხე ადგილის შესანარჩუნებლად „მესინასთან“ უეჭველი 3 ქულა ესაჭიროებათ, მაგრამ ვინძლო მიზნის მიღწევა ძალიან გაუჭირდეთ.

„მესინას“ ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი სალვატორე სულო ჰყავს დაშავებული, „სამპდორია“ კი სიცილიას ჯულიო ფალკონეს, ანდრეა გასბარონისა და მაქს ტონეტოს გარეშე სტუმრობს.

მილანის „ინტერი“ ადრიანოს, კრისტიან ვიერისა და ემრეს ვერ დაახვედრებს „სიენას“. ლუიჯი დე კანიოს გუნდს კი თავის მხრივ უმთავრესი ნახევარმცველი როდრიგო ტადეი არ ეყოლება.

ფრანჩესკო ტოტის გარეშე დარჩენილი „რომა“ ხანგრძლივი წარუმატებლობების შეწყვეტას და „ბრეშას“ დამარცხებას შეეცდება.

ბოლოს კი „პარმასა“ და „ლივორნოს“ დაპირისპირებაზეც ვთქვათ. მასპინძლები ამ მატჩისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ და სამი ქულა ჰაერივით სჭირდებათ. პიეტრო კარმინიანის ლიდერები — ალბერტო ჯილარდინო და დომენიკო მორფეო მწყობრში ჰყავს.

## ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

# ლონდონის მოლოდინი

| XXXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | ბლეკბერნი |
| ბოლტონი | : | ჩელსი |
| ფულემი | : | ევერტონი |
| ლივერპული | : | მიდლსბრო |
| სიტი | : | პორტსმუთი |
| ნიუკასლი | : | კრ. პალასი |
| საუთჰემპტონი | : | ნორვიჩი |
| **ხვალ** | | |
| ტოტენჰემი | : | ასტონ ვილა |
| ჩარლტონი | : | მანჩესტერი |
| **ზეგ** | | |
| ვესტ ბრომვიჩი | : | არსენალი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 34 | 26 | 7 | 1 | 65:13 | 85 |
| არსენალი | 34 | 22 | 8 | 4 | 74:33 | 74 |
| მანჩესტერი | 34 | 20 | 10 | 4 | 50:21 | 70 |
| ევერტონი | 34 | 17 | 7 | 10 | 41:34 | 58 |
| ლივერპული | 35 | 16 | 6 | 13 | 48:36 | 54 |
| ბოლტონი | 35 | 15 | 9 | 11 | 45:39 | 54 |
| მიდლსბრო | 35 | 13 | 11 | 11 | 50:44 | 50 |
| ტოტენჰემი | 35 | 13 | 9 | 13 | 42:39 | 48 |
| ასტონ ვილა | 35 | 12 | 11 | 12 | 42:43 | 47 |
| სიტი | 35 | 11 | 12 | 12 | 42:37 | 45 |
| ჩარლტონი | 35 | 12 | 9 | 14 | 40:51 | 45 |
| ბლეკბერნი | 35 | 9 | 14 | 12 | 30:38 | 41 |
| ბირმინგემი | 35 | 9 | 12 | 14 | 36:43 | 39 |
| ნიუკასლი | 34 | 9 | 12 | 13 | 43:53 | 39 |
| პორტსმუთი | 35 | 10 | 8 | 17 | 42:54 | 38 |
| ფულემი | 34 | 9 | 8 | 17 | 40:56 | 35 |
| კრ. პალასი | 35 | 7 | 9 | 19 | 37:58 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 5 | 15 | 15 | 33:58 | 30 |
| ნორვიჩი | 35 | 6 | 12 | 17 | 38:67 | 30 |
| საუთჰემპტონი | 35 | 5 | 13 | 17 | 38:59 | 28 |

**ორმოცდაათწლიანი** ლოდინის შემდეგ, ძალიან ახლოსაა ლონდონური „ჩელსი“ სანუკვარ ჩემპიონობასთან, ამისთვის დღეს „ჩელსიმ“ ბოლტონში უნდა იმარჯვოს. „ბოლტონს“ ივან კამპო ჰყავს დისკვალიფიცირებული, სტუმართა გუნდში კი შესაძლოა, დემიენ დაფი გამოჩნდეს, რომელმაც „ლივერპულთან“ ტრავმის გამო ვერ ითამაშა. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ პირველ წრეში, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ბოლტონმა“ 2:2 გაახერხა და იმ იშვიათ გუნდთაგანია, რომელსაც ამ სეზონში „ჩელსისთან“ არ წაუგია.

სტივ ბრიუსის „ბირმინგემი“ მარკ ჰიუზის „ბლექბერნს“ უმასპინძლებს. ბრიუსი და ჰიუზი ფეხბურთელობისას „მანჩესტერ იუნაიტედში“ ერთად თამაშობდნენ. პრემიერლიგაში მათ გუნდებს ყველაზე ცოტა გოლი გააქვთ, ორივე ცხრილის იმ ნაწილშია, საიდანაც გავარდნა აღარ ემუქრებათ და ახლა თავად განსაჯეთ, რა მატჩიც გველის.

„ფულემი“ „ევერტონს“ დაუხვდება. მასპინძელთა მიზანი პრემიერლიგაში დარჩენაა, „ევერტონი“ კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრას ლამობს და საამისოდ დარჩენილ ოთხ ტურში ექვსი ქულა სჭირდება. „ევერტონის“ ბოლო ორ მატჩში დანკან ფერგიუსონმა ორი გოლი გაიტანა და „ლურჯებს“ დღესაც მისი იმედი აქვთ.

რაფა ბენიტესის „ლივერპული“ თანაქალაქელ და მოძულე „ევერტონის“ დაწევას ცდილობს და „ჩელსისთან“ ბრძოლის შემდეგ „მიდლსბროს“ უნდა მოუგოს — „ბორო“ კი თავის მხრივ უეფას თასზე გამსვლელი ადგილისკენ იქაჩება.

მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელად სტიუარტ პირსი დანიშნეს, გუნდმა დაცვაში თამაში გამოასწორა და ზედიზედ ბოლო ხუთ მატჩში არ დამარცხებულა. სიტელები „პორტსმუთს“ მასპინძლობენ, რომელსაც ასევე ახალი თავკაცი, ალენ პერენი ჰყავს და ფრანგი იმედოვნებს, რომ კიდევ ერთი ქულა საკმარისი იქნება პრემიერლიგაში დასარჩენად.

გრემ სუნესის „ნიუკასლი“ მიყოლებით წაგებული ხუთი თამაშის შემდეგ, შუა კვირაში „მიდლსბროს“ გადადებულ მატჩში უგოლოდ დაუზავდა, დღეს კი „კრისტალ პალასს“ უმასპინძლებს.

ცალი ფეხით ქვედა დივიზიონში მყოფი ორი გუნდი ერთმანეთს საუთჰემპტონში შეხვდება — „წმინდანები“ „ნორვიჩს“ შეებმიან უძვირფასესი სამი ქულისთვის, ხოლო ლონდონში, „ტოტენჰემისა“ და „ასტონ ვილას“ შორის გამარჯვებულს უეფას თასზე მოხვედრის უკეთესი შანსი ექნება.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ „ჩარლტონს“ ეწვევა. გარი ნევილი და გაბრიელ ჰაინცე დისკვალიფიცირებულნი არიან, ხოლო პოლ სქოულზი „ნიუკასლთან“ გამოტოვებული მატჩის შემდეგ ბრუნდება.

„არსენალი“ ზეგ „ვესტ ბრომვიჩს“ [illegible]. სავარაუდოდ, ტიერი ანრის გარეშე, რადგან ფრანგი ფორვარდი დაშავებულია და არსენ ვენგერის თქმით, ამ მატჩს აუცილებლად გამოტოვებს.




ჟოზე მაურინიუ ჯო კოულს: მეტი რაღა გინდათ, ჩვენ ხომ ჩემპიონები ვართ

## გერმანია

ვაჟა ხეცივშვილი

# სამი ქულისთვის კაიზერსლაუტერნში
## ეს ის შალკე აღარ არის

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოხუმი | : | მაინცი |
| ლაუტერნი | : | ბაიერნი |
| ფრაიბურგი | : | დორტმუნდი |
| ვერდერი | : | არმინია |
| შალკე | : | ლევერკუზენი |
| ჰანზა | : | ჰერტა |
| გლადბახი | : | შტუტგარტი |
| **ხვალ** | | |
| ვოლფსბურგი | : | ჰამბურგი |
| ჰანოვერი | : | ნიურნბერგი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 30 | 20 | 5 | 5 | 58:27 | 65 |
| შალკე | 30 | 18 | 2 | 10 | 47:39 | 56 |
| შტუტგარტი | 30 | 16 | 7 | 7 | 52:33 | 55 |
| ჰერტა | 30 | 14 | 11 | 5 | 55:28 | 53 |
| ვერდერი | 30 | 15 | 5 | 10 | 59:34 | 50 |
| ჰამბურგი | 30 | 16 | 2 | 12 | 54:46 | 50 |
| ლევერკუზენი | 30 | 14 | 7 | 9 | 52:38 | 49 |
| დორტმუნდი | 30 | 12 | 9 | 9 | 40:40 | 45 |
| ვოლფსბურგი | 30 | 13 | 2 | 15 | 43:45 | 41 |
| ლაუტერნი | 30 | 11 | 6 | 13 | 38:42 | 39 |
| არმინია | 30 | 11 | 6 | 13 | 35:41 | 39 |
| ჰანოვერი | 30 | 11 | 5 | 14 | 31:34 | 38 |
| ნიურნბერგი | 30 | 9 | 8 | 13 | 49:53 | 35 |
| მაინცი | 30 | 9 | 7 | 14 | 37:46 | 34 |
| გლადბახი | 30 | 7 | 10 | 13 | 32:46 | 31 |
| ბოხუმი | 30 | 7 | 8 | 15 | 41:60 | 29 |
| ჰანზა | 30 | 6 | 8 | 16 | 27:58 | 26 |
| ფრაიბურგი | 30 | 3 | 8 | 19 | 24:64 | 17 |



მე ვხედავ ბუნდესსასალათეს — ფელიქს მაგათმა შეგირდები საჩემპიონოდ ერთხელაც მომართა

**მიუნხენის** „ბაიერნი" კაიზერსლაუტერნში დღეს თუ მოიგებს, ბუნდესლიგის ჩემპიონობას გაინაღდებს, მაგრამ, ცხადია „ლაუტერნს" არ სურს, რომ „ბაიერნმა" სწორედ მათ სტადიონზე გაიფორმოს პირველობა.

„ჩემპიონობასთან" ახლოს ვართ და ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ" — თქვა ფელიქს მაგათმა, ბავარიელთა თავკაცმა.

მიუნხენელთა მიზანი გარკვეულია, ხოლო „კაიზერსლაუტერნს" ლიგიდან გავარდნა არ ემუქრება და ალბათ, უეფას თასზე გამსვლელ ადგილსაც ველარ შესწვდება, როი მაკაიმ შუა კვირაში ვარჯიში გამოტოვა, რადგან გაციებული იყო, მაგრამ სადღეისოდ ჯანზე იქნება. „ბაიერნს" სასჯელმოხდილი ბასტიან შვაინსტაიგერიც დაუბრუნდა.

გელზენკირხენის „შალკე" ისე აიჭრა, რომ ასე თუ გააგრძელა, მეორე ადგილსაც დაკარგავს — „ხუმარები" ლევერკუზენის „ბაიერს" მასპინძლობენ, რომელსაც შვიდი ქულით უსწრებენ. „ბაიერს" თავის მხრივ თვალი ხუთეულისკენ უჭირავს, რათა მომავალ სეზონში ევროსარბიელზე ითამაშოს. ეს უკვე საკმარისი მიზეზია საიმისოდ, რომ „აუფშალკეზე" თვალსასეირო მატჩი გამოვიდეს. „შალკეს" დისკვალიფიცირებული კრისტიან პოულსენი დააკლდება, ხოლო ლევერკუზენელებს ტრავმირებული რობსონ პონტე. ბრაზილიელი ისე დაშავდა, რომ მისთვის სეზონი უკვე დასრულებულია.

წყალწყალა გამოდგა „შტუტგარტის" ამბიციებიც. მათიას ზამერის გუნდმა მიჯრით მოგებული ხუთი შეხვედრის შემდეგ ოითქოს „ბაიერნთან" შებრძოლება სცადა და ჩემპიონობისკენ გაიქაჩა, თუმც ამაოდ, რაკი ბოლო ორ ტურში ჯერ „ჰანზასთან" დამარცხდა, მერე კი შინ, „ვოლფსბურგსაც" ვერ მოუგო. ახლა „შტუტგარტის" მიზანი „შალკეს" გადასწრებაა, რათა ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვდეს. ეს ადვილი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს „შტუტგარტი" ლიგაში დასარჩენად მებრძოლ მიონხენგლადბახის „ბორუსიას" სტუმრობს. გლადბახელებს, დიკ ადვოკაატის წასვლის შემდეგ ჰორსტ კოპელი წვრთნის, რომელიც ერთი კვირის წინანდელი დებიუტი ნიურნბერგში მოპოვებული ქულით აღნიშნა. „შტუტგარტის" ნახევარმცველი სილვიო მაისნერი დისკვალიფიცირებულია.

როსტოკის „ჰანზას" ჯერ კიდევ აქვს ქულების მოხვეჭისა და ბუნდესადგილის დაბევების შანსი, თუმც დღევანდელი მისი მეტოქე საკმაოდ მძლავრი ბერლინის „ჰერტაა".

ბერლინელებმა მეორე წრის დაწყებიდან ალმა იარეს და ახლა მეოთხე ადგილზეც გამოიჭიმნენ, საიდანაც მესამეზე გადაბრძანებას და ჩემპიონთა ლიგაში გასვლას ლამობენ.

ბრემენის „ვერდერმა" სეზონის ბოლოს უკლო და მეხუთეზე ჩამოქვეითდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, დანებებას არ აპირებს და ევროპაში მოსახვედრად იომებს — „მუსიკოსებს" ბილეფილდის „არმინია" ეწვევა, რომელსაც თავი ქუდში აქვს და ბრემენშიც მთავარმეგოლე დელრონ ბაკლი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება.

## ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# რაც მთავარია ზიზუ არ იქნება
## ბარსა ბრწყინვალე ფორმაშია

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატლეტიკო | : | ბილბაო |
| ნუმანსია | : | ვალენსია |
| სოსიედადი | : | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ბარსელონა | : | ალბასეტე |
| რასინგი | : | ბეტისი |
| სევილია | : | დეპორტივო |
| მალიორკა | : | ესპანიოლი |
| ვილიარეალი | : | ხეტაფე |
| სარაგოსა | : | ოსასუნა |
| ლევანტე | : | მალაგა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 33 | 23 | 6 | 4 | 65:25 | 75 |
| რეალი | 33 | 22 | 3 | 8 | 59:29 | 69 |
| სევილია | 33 | 16 | 7 | 10 | 40:36 | 55 |
| ესპანიოლი | 33 | 15 | 8 | 10 | 44:40 | 53 |
| ვილიარეალი | 33 | 14 | 10 | 9 | 55:33 | 52 |
| ვალენსია | 33 | 13 | 13 | 7 | 50:34 | 52 |
| ბეტისი | 33 | 13 | 12 | 8 | 54:45 | 51 |
| ატლეტიკო | 33 | 13 | 8 | 12 | 36:27 | 47 |
| ბილბაო | 33 | 13 | 8 | 12 | 53:45 | 47 |
| დეპორტივო | 33 | 11 | 13 | 9 | 41:42 | 46 |
| სარაგოსა | 33 | 13 | 7 | 13 | 42:46 | 46 |
| სოსიედადი | 33 | 13 | 6 | 14 | 44:47 | 45 |
| ოსასუნა | 33 | 12 | 7 | 14 | 42:55 | 43 |
| ხეტაფე | 33 | 11 | 9 | 13 | 33:38 | 42 |
| მალაგა | 33 | 11 | 6 | 16 | 32:45 | 39 |
| რასინგი | 33 | 10 | 7 | 16 | 37:49 | 37 |
| ლევანტე | 33 | 9 | 8 | 16 | 36:49 | 35 |
| მალიორკა | 33 | 7 | 7 | 19 | 30:56 | 28 |
| ალბასეტე | 33 | 5 | 9 | 19 | 28:50 | 24 |
| ნუმანსია | 33 | 5 | 8 | 20 | 24:54 | 23 |



ზინედინ ზიდანი: ჩხუბი არ მინდოდა, ჩემთვის უმთავრესი ფეხბურთის თამაშია

**ტურის** მთავარი მატჩი ბასკურ „ანოეტაზე" გაიმართება — „სოსიედადი" ვანდერლეი ლუშემბურგოს ჩემპიონობაზე დაგეშილ „რეალს" უმასპინძლებს.

დედაქალაქელ გალაქტიკოსთა გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებებია, მათ მიჩელ სალგადო, ვალტერ სამუელი და ზინედინ ზიდანი ვერ შეებრძოლებიან, პირველ ორს ყვითელი ბარათების მარაგი მოუმსუყდა, ზიდანმა კი გეხსომებათ, „ვილიარეალთან" თამაშში, კიკე ალვარესთან ჩხუბისთვის პირდაპირ წითელი მიიღო. სალგადოს ნაცვლად ალბერტ სელადესს ვიხილავთ, დაცვის ცენტრში კი პავონისა და ელგერას წყვილი იბურთავებს, ხოლო „ზიზუს" არყოფნაში მადრიდელთა ნახევარდაცვაში სანტიაგო სოლარი დატრიალდება.

უნდა გავიხსენოთ პირველი წრის, 12 დეკემბრის თამაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" — ვინაიდან ცრუ განგაშის გამო შეწყვეტილი მატჩი, არიქა, სტადიონზე ბომბიაო, 83-ე წუთზე ჩაიშალა — გეხსომებათ, გადათამაშდა და დარჩენილ დროში ზიდანმა პენალტი შეაგდო.

„შვიდ წუთში თამაშის წაგება და ქულების დაკარგვა ჩვენთვის ძალზე მტკივნეული გახლდათ. ვეცდებით, „რეალს" არ მოვაგებინოთ" — განაცხადა ბასკთა მცველმა მიკელ ლაბაკამ, რომლის გამოც დანიშნა სწორედ მაშინ ის ავბედით თერთმეტმეტრიანი, ზინედინ ზიდანმა რომ გაიტანა.

დღეს „სოსიედადს" ტრავმამოშუშებულნი, ალბერტო რიესგო და ვალერი კარპინი დაუბრუნდებიან.

დღესვე „ნუმანსია" „ვალენსიას" ეთამაშება, ხოლო მადრიდული „ატლეტიკო" ძალებს ერნესტო ვალვერდეს „ბილბაოსთან" მოსინჯავს.

ნუმანსიელებს დასაკარგი არაფერი აქვთ, უკვე სეგუნდადივიზიონის მყარი კანდიდატები არიან, ხოლო მეექვსეადგილოსანი „ვალენსია" საევროთასო პოზიციების შენარჩუნებას ეცდება — სტუმრები მუხლმტკივან რუფეტეს მოისაკლისებენ.

წინა ტურში, „ოსასუნასთან" დამარცხებულ მადრიდის „ატლეტიკოს" დისკვალიფიცირებული ლუქსენი და პაბლო იბანიესი ვერ დაეხმარებიან, ხოლო ბილბაოელებს ორბაისი და იესტე არ ეყოლებათ.

ლიდერი „ბარსელონა", უკვე ცალი ფეხით სეგუნდაში მყოფ „ალბასეტეს" შეერკინება — ფრანკ რაიკარდის გუნდმა წინა ტურში „მალაგა" გასვლაზე 4:0 მოსპო და წყალწაღებული „ალბას" შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, მორიგი გამარჯვება ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ...

„ბარსა" დღეს ბრწყინვალე ფორმაშია, თუმც პრიმერაში დასარჩენად თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ" — თქვა სტუმართა თავდამსხმელმა ანტონიო პაჩეკომ.

რაიკარდი დისკვალიფიცირებულ ხავის მოისაკლისებს, ხოლო ელიტარულ ლიგაში დარჩენაზე „მოჩალიჩე" სტუმრებს პაბლო რედონდო, მიგელ ჰუადესი და ალვარო რუბიო დააკლდებიან.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 5 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 2.15 | 3.2 | 3.2 | 1.28 | 1.28 | 1.6 |
| 18:00 | 6 | ფულემი-ევერტონი | 2.65 | 3.3 | 2.45 | 1.46 | 1.27 | 1.4 |
| 18:00 | 7 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 18:00 | 8 | სიტი-პორტსმუთი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 18:00 | 9 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.8 | 3.4 | 4.2 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 18:00 | 10 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 20:15 | 11 | ბოლტონი-ჩელსი | 3.8 | 3.2 | 1.9 | 1.73 | 1.26 | 1.19 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 16:00 | 13 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 19:05 | 14 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 5.0 | 3.5 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 16 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 5.0 | 3.5 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 15:15 | 20 | პრესტონი-უიგანი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 21 | ქპრ-ნოტინგემი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.31 | 1.24 | 1.52 |
| 18:00 | 22 | რედინგი-ვულვერჰემპტონი | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 18:00 | 23 | შეფილდი-მილუოლი | 1.65 | 3.5 | 4.6 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 18:00 | 24 | სტოკი-უოტფორდი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.31 | 1.24 | 1.52 |
| 18:00 | 25 | ბარნლი-პლიმუთი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 26 | ქოვენთრი-დერბი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 27 | ჯილინგემი-კარდიფი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 28 | იფსვიჩი-კრიუ | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 18:00 | 29 | როტერჰემი-ბრაიტონი | 3.0 | 3.4 | 2.0 | 1.59 | 1.2 | 1.25 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 16:30 | 30 | ლესტერი-ლიდსი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 33 | ბარნსლი-კოლჩესტერი | 2.05 | 3.3 | 3.0 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 34 | ბრედფორდი-ბორნმუთი | 2.8 | 3.4 | 2.1 | 1.53 | 1.2 | 1.29 |
| 18:00 | 35 | ბრისტოლი-დონკასტერი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 36 | ჩესტერფილდი-ოლდემი | 2.45 | 3.4 | 2.5 | 1.42 | 1.23 | 1.44 |
| 18:00 | 37 | ჰარტლპული-უოლსოლი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 18:00 | 38 | ჰადერსფილდი-სუინდონი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 39 | ჰალი-უენსდი | 2.2 | 3.4 | 2.7 | 1.33 | 1.21 | 1.5 |
| 18:00 | 40 | ლუტონი-ბრენტფორდი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 41 | სტოკპორტი-რექსემი | 2.85 | 3.4 | 2.05 | 1.55 | 1.19 | 1.27 |
| 18:00 | 42 | ტორკი-ბლეკპული | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 43 | პიტერბრო-დონსი | 2.8 | 3.4 | 2.2 | 1.53 | 1.23 | 1.33 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 44 | ლინკოლნი-დარლინგტონი | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 18:00 | 45 | ჩელტენემი-მაკლსფილდი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 46 | ჩესტერი-ნორთჰემპტონი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 18:00 | 47 | კიდერმინსტერი-გრიმსბი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 48 | მენსფილდი-ბოსტონი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 49 | ნოტსი-ბერი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| 18:00 | 50 | როჩდეილი-ოქსფორდი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 51 | რაშდენი-კემბრიჯი | 1.7 | 3.5 | 4.1 | 1.14 | 1.2 | 1.88 |
| 18:00 | 52 | სკანთორპი-როვერსი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 18:00 | 53 | საუთენდი-იოვილი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 54 | სუონსი-შრუსბერი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 18:00 | 55 | უიკომბი-ლეიტონი | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 58 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.2 | 5.0 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.52 |
| 18:00 | 60 | დანდი-დანდი იუნაიტედი | 2.25 | 3.2 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 61 | ჰარტსი-მაზერველი | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 18:00 | 62 | ინვერნესი-კილმარნოკი | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 18:00 | 63 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 56 | აბერდინი-რეინჯერსი | 6.5 | 3.8 | 1.4 | 2.39 | 1.15 | 1.02 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 64 | ერდრი-პარტიკი | 1.7 | 3.6 | 4.0 | 1.15 | 1.19 | 1.89 |
| 18:00 | 65 | კლაიდი-რეითი | 1.55 | 3.8 | 4.5 | 1.1 | 1.15 | 2.06 |
| 18:00 | 66 | ჰამილტონი-ფოლკირკი | 2.8 | 3.5 | 2.05 | 1.55 | 1.18 | 1.29 |
| 18:00 | 67 | ქუინი-სტ.ჯონსტონი | 2.2 | 3.4 | 2.65 | 1.33 | 1.2 | 1.48 |
| 18:00 | 68 | სტ.მირენი-როსი | 1.8 | 3.4 | 3.6 | 1.17 | 1.2 | 1.74 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 69 | ბერიკი-ეარი | 2.4 | 3.4 | 2.45 | 1.4 | 1.21 | 1.42 |
| 18:00 | 70 | დამბარტონი-არბროთი | 2.2 | 3.3 | 2.7 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 18:00 | 71 | ფორფარი-ალოა | 2.15 | 3.4 | 2.7 | 1.31 | 1.19 | 1.5 |
| 18:00 | 72 | სტირლინგი-ბრეჩინი | 2.3 | 3.4 | 2.55 | 1.37 | 1.2 | 1.45 |
| 18:00 | 73 | სტრანრაერი-მორტონი | 2.35 | 3.3 | 2.5 | 1.37 | 1.21 | 1.42 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 74 | ისტ ფაიფი-ალბიონი | 2.2 | 3.3 | 2.65 | 1.32 | 1.2 | 1.46 |
| 18:00 | 75 | გრეტნა-ისტ სტირლინგი | 1.1 | 6.5 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 76 | პიტერჰედი-მონტროუზი | 1.55 | 3.8 | 4.5 | 1.1 | 1.15 | 2.06 |
| 18:00 | 77 | ქუინს პარკი-ელგინი | 1.85 | 3.5 | 3.3 | 1.21 | 1.18 | 1.69 |
| 18:00 | 78 | სტენჰაუსმუირი-კოუდენბითი | 2.55 | 3.4 | 2.3 | 1.45 | 1.2 | 1.37 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 79 | ბოხუმი-მაინცი | 1.75 | 3.4 | 4.3 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 17:30 | 80 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 4.9 | 3.5 | 1.6 | 2.04 | 1.2 | 1.09 |
| 17:30 | 82 | ჰანზა-ჰერტა | 3.5 | 3.4 | 1.9 | 1.72 | 1.23 | 1.21 |
| 17:30 | 84 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 4.5 | 3.5 | 1.7 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 17:30 | 85 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 2.6 | 3.2 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 17:30 | 86 | შალკე-ლევერკუზენი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 17:30 | 88 | ვერდერი-არმინია | 1.35 | 4.4 | 7.0 | 1.03 | 1.13 | 2.7 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 89 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2.45 | 3.3 | 2.6 | 1.4 | 1.26 | 1.45 |
| 19:30 | 90 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 95 | ტრირი-კარლსრუე | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 17:00 | 96 | დუისბურგი-ბურგჰაუზენი | 1.55 | 3.7 | 5.0 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 17:00 | 97 | მიუნხენი 1860-ესენი | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 17:00 | 98 | ალემანია-კობურსი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 17:00 | 99 | ალენი-საარბრიუკენი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 22:15 | 100 | აუე-კიოლნი | 2.55 | 3.2 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 16:00 | 107 | კიოლნი(მ)-ვოლფსბურგი(მ) | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 16:00 | 108 | ოსნაბრიუკი-ბრაუნშვაიგი | 2.15 | 3.3 | 2.8 | 1.3 | 1.21 | 1.51 |
| 16:00 | 109 | პადერბორნი-ლიუბეკი | 2.0 | 3.2 | 3.2 | 1.23 | 1.23 | 1.6 |
| 16:00 | 110 | ვუპერტალი-ჰერტა(მ) | 2.2 | 3.3 | 2.7 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 16:00 | 111 | არმინია(მ)-დიუსელდორფი | 2.65 | 3.4 | 2.2 | 1.48 | 1.2 | 1.53 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 16:30 | 123 | კობლენცი-ვეენი | 2.7 | 3.3 | 2.2 | 1.48 | 1.21 | 1.32 |
| 16:30 | 124 | მიუნხენი(მ)-აუგსბურგი | 3.3 | 3.3 | 1.9 | 1.64 | 1.2 | 1.2 |
| 16:30 | 125 | ელვერსბერგი-ბაიერნი(მ) | 2.3 | 3.3 | 2.55 | 1.35 | 1.2 | 1.43 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 128 | მაინცი(მ)-ჰოფენჰაიმი | 2.2 | 3.4 | 2.7 | 1.33 | 1.21 | 1.5 |
| 17:00 | 129 | კიკერსი-შტუტგარტი(მ) | 2.0 | 3.3 | 3.0 | 1.24 | 1.2 | 1.57 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 131 | ადმირა-გრაცერი | 3.7 | 3.3 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 20:30 | 132 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 20:30 | 133 | პაშინგი-ზალცბურგი | 1.3 | 4.8 | 7.5 | 1.02 | 1.1 | 2.92 |
| 20:30 | 134 | შტურმი-ბრეგენცი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 143 | აარაუ-სტ.გალენი | 2.35 | 3.1 | 2.6 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 16:30 | 144 | შაფჰაუზენი-ბაზელი | 5.5 | 3.5 | 1.5 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| 16:30 | 146 | ქსამაქსი-იანგ ბოისი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 18:15 | 147 | თუნი-გრასჰოპერი | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 154 | ლუცერნი-კიასო | 2.05 | 3.2 | 3.0 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 21:30 | 155 | სიონი-ლუგანო | 1.8 | 3.3 | 3.7 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 19:30 | 157 | ბადენი-თუნვენტუსი | 2.2 | 3.2 | 2.75 | 1.3 | 1.22 | 1.47 |
| 18:00 | 158 | ბოლმი-კრინსი | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 21:30 | 159 | ბელინცონა-შო დე ფონი | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 16:30 | 153 | კონკორდია-ივერდონი | 2.95 | 3.2 | 2.1 | 1.53 | 1.22 | 1.26 |
| 16:30 | 156 | ვილი-მეირინი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 160 | კალიარი-რეჯინა | 2.4 | 1.7 | 6.5 | 1.0 | 1.75 | 1.31 |
| 22:30 | 161 | ფიორენტინა-მილანი | 4.5 | 3.3 | 1.75 | 1.9 | 1.25 | 1.11 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 163 | ინტერი-სიენა | 1.45 | 3.8 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.46 |
| 17:00 | 165 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| 17:00 | 167 | ლეჩე-ლაციო | 1.95 | 2.9 | 4.0 | 1.16 | 1.31 | 1.68 |
| 17:00 | 168 | მესინა-სამპდორია | 2.85 | 2.4 | 3.1 | 1.3 | 1.48 | 1.35 |
| 22:30 | 169 | პალერმო-კიევო | 1.75 | 3.2 | 4.9 | 1.13 | 1.28 | 1.93 |
| 17:00 | 170 | პარმა-ლივორნო | 1.55 | 3.5 | 5.6 | 1.07 | 1.21 | 2.15 |
| 17:00 | 171 | რომა-ბრეშა | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 17:00 | 173 | უდინეზე-ატალანტა | 1.6 | 3.5 | 5.2 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 177 | ჩეზენა-პესკარა | 2.2 | 2.4 | 4.0 | 1.14 | 1.41 | 1.5 |
| 22:30 | 178 | მოდენა-ტორინო | 2.3 | 2.5 | 3.6 | 1.19 | 1.4 | 1.47 |
| 22:30 | 179 | პიაჩენცა-არეცო | 1.75 | 2.9 | 5.0 | 1.09 | 1.29 | 1.83 |
| 22:30 | 180 | ვენეცია-პერუჯა | 4.5 | 3.5 | 1.6 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 22:30 | 181 | ვერონა-კროტონე | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |

**კვირას, 1 მაისს „კროკო" არ იმუშავებს. ორშაბათს, 2 მაისს იმუშავებს მხოლოდ „კროკოს" აკაკი წერეთლის გამზირზე მდებარე ოფისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 182 | ვიჩენცა-სალერნიტანა | 2.2 | 2.5 | 3.8 | 1.17 | 1.39 | 1.5 |
| 22:30 | 183 | ჯენოა-ტერნანა | 1.4 | 3.6 | 8.0 | 1.0 | 1.19 | 2.48 |
| 22:30 | 184 | ალბინოლეფე-კატანია | 2.4 | 2.2 | 4.0 | 1.14 | 1.5 | 1.41 |
| 22:30 | 185 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.7 | 2.9 | 5.5 | 1.07 | 1.29 | 1.89 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 186 | კატანძარო-ემპოლი | 5.2 | 3.7 | 1.5 | 2.16 | 1.16 | 1.06 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 190 | მანტოვა-ტორესი | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 17:00 | 191 | პიცეტონე-ფიორენცუოლა | 2.0 | 2.5 | 4.3 | 1.11 | 1.36 | 1.58 |
| 17:00 | 195 | ვიტერბო-ვარეზე | 2.35 | 2.5 | 3.3 | 1.21 | 1.37 | 1.42 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 196 | მარტინა-ნაპოლი | 4.6 | 2.4 | 2.0 | 1.57 | 1.39 | 1.09 |
| 17:00 | 197 | ფერმანა-აველინო | 3.5 | 2.6 | 2.2 | 1.49 | 1.35 | 1.19 |
| 17:00 | 201 | ჯულიანოვა-რეჯინა | 2.0 | 2.5 | 4.3 | 1.11 | 1.36 | 1.58 |
| 17:00 | 202 | რიმინი-ბენევენტო | 1.45 | 3.4 | 6.6 | 1.01 | 1.18 | 2.24 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 207 | ატლეტიკო-მალაგა | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 22:00 | 212 | ნუმანსია-ვალენსია | 4.5 | 3.4 | 1.7 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 23:45 | 215 | სოსიედადი-რეალი | 4.0 | 3.5 | 1.8 | 1.86 | 1.24 | 1.18 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 208 | ბარსელონა-ალბასეტე | 1.15 | 6.0 | 15.0 | 1.0 | 1.06 | 4.28 |
| 19:00 | 210 | ლევანტე-მალაგა | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 211 | მაიორკა-ესპანიოლი | 2.55 | 3.4 | 2.45 | 1.45 | 1.24 | 1.42 |
| 19:00 | 213 | რასინგი-ბეტისი | 2.65 | 3.3 | 2.4 | 1.46 | 1.25 | 1.38 |
| 23:00 | 214 | სევილია-დეპორტივო | 1.8 | 3.4 | 4.1 | 1.17 | 1.25 | 1.85 |
| 19:00 | 217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.4 | 3.6 | 7.5 | 1.0 | 1.17 | 2.43 |
| 19:00 | 219 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 220 | ალავესი-ხიმნასტიკა | 1.55 | 3.6 | 5.8 | 1.08 | 1.22 | 2.22 |
| 21:00 | 221 | ალმერია-ხერესი | 2.1 | 3.0 | 3.55 | 1.23 | 1.31 | 1.62 |
| 20:30 | 224 | ფეროლი-ელჩე | 2.15 | 3.0 | 3.2 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 20:30 | 226 | ტერასა-ტენერიფე | 1.95 | 3.0 | 3.8 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| 20:00 | 228 | მალაგა ბ-ეიბარი | 2.1 | 2.9 | 3.5 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 222 | კადისი-კორდობა | 1.6 | 3.3 | 5.5 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 14:00 | 223 | სელტა-ვალიადოლიდი | 1.7 | 3.1 | 5.0 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 20:00 | 225 | სპორტინგი-პონფერადინა | 1.8 | 3.4 | 3.9 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 20:00 | 227 | ლეიდა-ეხიდო | 2.9 | 2.9 | 2.4 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| 21:00 | 229 | მურსია-ლორკა | 2.1 | 2.9 | 3.5 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 21:00 | 230 | ჰერკულესი-ხიხონი | 1.65 | 3.1 | 5.5 | 1.07 | 1.26 | 1.98 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 231 | მონაკო-ლილი | 1.95 | 2.9 | 4.0 | 1.16 | 1.31 | 1.68 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 235 | ბრიუსელი-ლოკერენი | 1.8 | 3.4 | 3.9 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 22:00 | 236 | მუსკრონი-ბრიუგე | 5.5 | 4.0 | 1.45 | 2.31 | 1.14 | 1.06 |
| 22:00 | 238 | სტანდარდი-სენტ-ტრუიდენი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 22:00 | 239 | ლიერსი-გენტი | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| 22:00 | 240 | გენკი-ოსტენდე | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 22:00 | 241 | ლა ლუვიერი-ბევერენი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 22:00 | 242 | ბეერშოტი-მონსი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 243 | სერკლი-შარლერუა | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 244 | ტუბიზი-ვისე | 2.15 | 3.3 | 2.8 | 1.3 | 1.21 | 1.51 |
| 17:00 | 245 | ოსტენდე-ეუპენი | 2.0 | 3.2 | 3.1 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 17:00 | 247 | კორტრეიკი-მეხელენი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 248 | რუსელარე-ვარეგემი | 2.25 | 3.2 | 2.7 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 17:00 | 249 | რონსე-ვირტონი | 2.05 | 3.2 | 3.0 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 17:00 | 250 | ვაასლანდი-ანტვერპენი | 2.25 | 3.2 | 2.7 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 17:00 | 251 | ტურნჰაუტი-სერენი | 1.6 | 3.5 | 4.6 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 17:00 | 252 | ვირტონი-ეკლო | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 254 | რვალვაიკი-აიაქსი | 7.5 | 4.2 | 1.35 | 2.69 | 1.14 | 1.02 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 16:30 | 256 | ვიტესე-ზვოლე | 1.8 | 3.4 | 4.2 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 16:30 | 257 | ალკმაარი-გრონინგენი | 1.5 | 3.8 | 5.8 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 16:30 | 258 | გრაფშაპი-უტრეხტი | 2.35 | 3.4 | 2.7 | 1.38 | 1.25 | 1.5 |
| 16:30 | 259 | დენ ბოსხი-ბრედა | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 16:30 | 260 | ფეიენოორდი-ჰერენვენი | 1.55 | 3.6 | 5.3 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 16:30 | 261 | ტვენტე-დენ ჰააგი | 1.7 | 3.6 | 4.5 | 1.15 | 1.23 | 2.0 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 273 | ბენფიკა-ბელენენსეში | 1.3 | 4.6 | 8.0 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 19:00 | 276 | ჟილ ვისენტე-ლეირია | 1.9 | 3.0 | 3.8 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| 19:00 | 278 | მორეირენსე-ბეირა მარი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 279 | პორტუ-მარიტიმუ | 1.35 | 4.5 | 7.5 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 19:00 | 280 | სპორტინგი-რიო ავე | 2.15 | 3.0 | 3.2 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 281 | ნასიონალი-ესტორილი | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 23:30 | 275 | ბრაგა-სეტუბალი | 2.55 | 3.2 | 2.5 | 1.41 | 1.26 | 1.4 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 23:30 | 277 | გიმარაიში-აკადემიკა | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **პორტუგალია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 14:15 | 282 | პორტიმონენსე-ფეირენსე | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 19:00 | 283 | ამადორა-ფელგეირასი | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 19:00 | 284 | ალვერკა-ესპინიო | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 285 | მარკო-ოლიანენსე | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 286 | ფელგეირასი-გონდომარი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 19:00 | 287 | ლეიშოიში-ავესი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 288 | მაია-სანტა კლარა | 2.4 | 3.0 | 2.6 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 19:00 | 289 | მარკო-ოვარენსე | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 19:00 | 290 | ვარზიმი-ნავალი | 2.65 | 2.9 | 2.45 | 1.38 | 1.27 | 1.32 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 293 | კაისერი-დენიზლი | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 17:00 | 294 | ანკარაგუჩუ-დიარბაკირი | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 295 | სამსუნი-საკარია | 2.1 | 3.3 | 3.05 | 1.28 | [illegible] | 1.58 |
| 20:00 | 300 | ფენერბაჩე-ტრაბზონი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 291 | მალატია-გალატასარაი | 5.5 | 3.5 | 1.55 | [illegible] | [illegible] | 1.07 |
| 16:30 | 297 | კონია-ანკარა | 1.9 | 3.4 | 3.5 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 16:30 | 298 | ისტანბული-გენჩლერბირლიგი | 2.75 | 3.3 | 2.3 | 1.5 | 1.25 | 1.35 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 13:00 | 301 | მოსკოვი-ალანია | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 13:00 | 302 | რუბინი-დინამო | 2.55 | 2.9 | 2.75 | 1.35 | 1.32 | 1.41 |
| 13:00 | 303 | სატურნი-ტომსკი | 1.55 | 3.4 | 6.0 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 13:00 | 304 | ტორპედო-კრილია | 1.8 | 3.0 | 4.5 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 13:00 | 305 | შინიკი-ლოკომოტივი | 2.55 | 2.8 | 2.8 | 1.33 | 1.33 | 1.39 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 13:00 | 306 | ამქარი-როსტოვი | 2.4 | 3.0 | 2.8 | 1.33 | 1.29 | 1.11 |
| 13:00 | 308 | სპარტაკი-ტერეკი | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 700 | ლეგია-პლოცკი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 20:30 | 701 | ზაგლებიე-ამიკა | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 702 | გროცლინი-კრაკოვია | 1.6 | 3.3 | 4.8 | 1.07 | 1.2 | 1.95 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 310 | ლიბერეცი-ოლომოუცი | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 311 | ბუდეიოვიცე-ოპავა | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 314 | ზლინი-სლოვაცკო | 2.45 | 2.8 | 2.8 | 1.3 | 1.3 | 1.39 |
| 16:25 | 317 | სიგმა-სპარტა | 2.9 | 2.9 | 2.35 | 1.45 | 1.29 | 1.29 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 312 | ბანიკი-მლადობოლესლავი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 19:00 | 315 | ბლშანი-იაბლონეცი | 2.3 | 3.0 | 2.9 | 1.3 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 316 | პრიბრამი-ბრნო | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 18:40 | 313 | სლავია-ტეპლიცე | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 323 | ინტერი-პეტრჟალკა | 3.2 | 3.0 | 2.1 | 1.54 | 1.26 | 1.23 |
| 18:00 | 324 | პუხოვი-დუბნიცა | 1.95 | 3.1 | 3.4 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 325 | რუჟომბეროკი-სენიცა | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 19:30 | 326 | ტრენჩინი-ბ.ბისტრიცა | 2.1 | 3.0 | 3.2 | 1.23 | 1.26 | 1.51 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 327 | ტრნავა-ჟილინა | 2.55 | 3.0 | 2.5 | 1.37 | 1.26 | 1.36 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 328 | პულა-კამენი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 18:00 | 329 | ზადარი-დინამო | 2.5 | 3.2 | 2.4 | 1.4 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 330 | სლავენი-ზაგრები | 1.95 | 3.1 | 3.4 | 1.19 | 1.23 | 1.62 |
| 16:00 | 331 | ინტერი-რიეკა | 2.25 | 3.1 | 2.8 | 1.3 | 1.24 | 1.47 |
| 20:00 | 332 | ვარტექსი-ჰაიდუკი | 3.7 | 3.3 | 1.8 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| 20:00 | 333 | ოსიეკი-მედიმურიე | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | **უნგრეთი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 558 | ტატაბანია-ფერენცვაროში | 2.95 | 3.1 | 2.15 | 1.51 | 1.24 | 1.26 |
| 21:00 | 559 | ვასასი-ზალაეგერსეგი | 2.5 | 3.0 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 21:00 | 561 | კაპოშვარი-პეჩი | 2.85 | 3.0 | 2.3 | 1.46 | 1.27 | 1.3 |
| 21:00 | 562 | მტკ-დიოშდიორი | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 21:00 | 563 | ნირედიჰაზა-პაკში | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 21:00 | 564 | სოპრონი-პაპა | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 13:30 | 565 | უიპეშტი-დებრეცენი | 2.25 | 2.9 | 2.9 | 1.26 | 1.26 | 1.45 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 334 | ბრონდბიუ-რანდერსი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 335 | ნორდშელანდი-მიდტიულანდი | 3.1 | 3.3 | 2.1 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 17:00 | 336 | ჰერფოლგე-ოლბორგი | 3.6 | 3.4 | 1.9 | 1.74 | 1.21 | 1.21 |
| 17:00 | 337 | სილკებორგი-ოდენსე | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| 17:00 | 338 | ორჰუსი-ესბიერგი | 2.6 | 3.3 | 2.5 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 19:30 | 339 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 3.5 | 3.3 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 347 | კოლდინგი-დალუმი | 1.5 | 4.0 | 5.0 | 1.09 | 1.15 | 2.22 |
| 17:00 | 348 | კიოლუნდი-ვეილე | 2.3 | 3.7 | 2.4 | 1.41 | 1.17 | 1.15 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 13:00 | 349 | ფრემი-ფრემადი | 1.5 | 3.9 | 5.0 | 1.08 | 1.15 | 2.19 |
| 15:00 | 350 | ოლსტიკე-ბალერუპი | 2.55 | 3.8 | 2.2 | 1.52 | 1.18 | 1.39 |
| 15:00 | 351 | ფრედერისია-ნესტვედი | 1.85 | 3.6 | 3.3 | 1.22 | 1.18 | 1.72 |
| 17:00 | 352 | კიოგე-ჰორსენსი | 2.45 | 3.7 | 2.3 | 1.47 | 1.18 | 1.41 |
| 17:00 | 353 | ნიკიობინგი-ბ 93 | 1.9 | 3.8 | 3.0 | 1.26 | 1.16 | 1.67 |
| 17:00 | 354 | სონდერიუსკე-ბრონშოი | 1.25 | 4.9 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.03 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 356 | ლინი-მოლდე | 1.8 | 3.5 | 4.0 | 1.18 | 1.24 | 1.86 |
| 20:00 | 357 | სტარტი-ვიკინგი | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 20:00 | 358 | ტრომსო-ვოლერენგა | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:00 | 359 | ბოდო გლიმტი-ჰამარი | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 20:00 | 360 | ფრედრიკშტადი-ოდ გრენლანდი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 22:05 | 361 | ლილესტრომი-როზენბორგი | 3.1 | 3.3 | 2.0 | 1.59 | 1.21 | 1.24 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 362 | ალესუნდი-ბრანი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 363 | სტაბეკი-ალტა | 1.3 | 5.0 | 7.5 | 1.03 | 1.1 | 3.0 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 364 | ბრინი-სტრომსგოდსეტი | 1.8 | 3.8 | 3.5 | 1.22 | 1.18 | 1.82 |
| 20:00 | 365 | ჰონეფოსი-მოსი | 1.85 | 3.7 | 3.35 | 1.23 | 1.19 | 1.75 |
| 20:00 | 366 | კონგსვინგერი-ფიოლი | 1.55 | 4.2 | 4.5 | 1.13 | 1.15 | 2.17 |
| 20:00 | 367 | ლოვ ჰამი-ხოდნადი | 4.5 | 4.5 | 1.5 | 2.25 | 1.12 | 1.12 |
| 20:00 | 368 | პორს გრენლანდი-ტრომსდალენი | 2.3 | 3.8 | 2.5 | 1.43 | 1.19 | 1.5 |
| 20:00 | 369 | სანდეფიორდი-ბოლდი | 1.45 | 4.2 | 5.3 | 1.07 | 1.13 | 2.34 |
| 20:00 | 370 | სკეიდი-მანდალი | 2.4 | 4.0 | 2.35 | 1.5 | 1.18 | 1.48 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 375 | გეფლე-ორგრიტე | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 19:00 | 376 | ჰალმსტადი-კალმარი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 377 | ორგრიტე-სუნდსვალი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 378 | ლანდსკრონა-გოტებორგი | 3.1 | 3.3 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 21:00 | 379 | ჰეკენი-ჰელსინგბორგი | 2.6 | 3.3 | 2.5 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 21:00 | 380 | ელფსბორგი-ჯურგორდენი | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 382 | აიკ-ვესბი | 1.45 | 4.2 | 5.3 | 1.07 | 1.13 | 2.34 |
| 18:00 | 383 | ოისტერსი-ბრომაპოიკარნა | 1.8 | 3.5 | 3.8 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 18:00 | 384 | ტრელებორგი-ნორჩიოპინგი | 2.5 | 3.4 | 2.45 | 1.44 | 1.23 | 1.42 |
| 18:00 | 385 | ვესტეროსი-მიალბი | 2.05 | 3.4 | 3.1 | 1.27 | 1.23 | 1.62 |
| 18:10 | 386 | ატვიდაბერგი-ორებრო | 3.0 | 3.4 | 2.1 | 1.59 | 1.23 | 1.29 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 399 | ქერიში-ლონგფორდი | 2.85 | 3.0 | 2.3 | 1.46 | 1.27 | 1.3 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 8:00 | 409 | შიმიცუ-ომია | 2.25 | 3.1 | 2.9 | 1.3 | 1.26 | 1.49 |
| 9:00 | 410 | გამბა-კობე | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 9:00 | 411 | ოიტა-ტოკიო | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 9:00 | 412 | ურავა-ნაგოია | 2.4 | 3.1 | 2.6 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 10:00 | 413 | კაშიმა-ჩერეზო | 1.55 | 3.5 | 5.3 | 1.07 | 1.19 | 2.1 |
| 10:00 | 414 | კავასაკი-იჩიჰარა | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 11:00 | 415 | კაშივა-ივატა | 2.3 | 3.1 | 2.7 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 11:00 | 416 | ჰიროსიმა-ნიიგატა | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 14:00 | 417 | ვერდი-იოკოჰამა | 2.4 | 3.0 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.4 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 419 | კანზასი-ვაშინგტონი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:45 | 420 | კოლამბუსი-ჩიკაგო | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 23:45 | 421 | ნიუ ინგლენდი-ჩივასი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 23:45 | 422 | კოლორადო-ნიუ იორკი | 2.05 | 3.1 | 3.3 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 23:45 | 423 | სოლტ ლეიკი-სან ხოსე | 2.35 | 3.1 | 2.7 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 424 | ლოს ანჯელესი-დალასი | 2.0 | 3.1 | 3.4 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 427 | ატლასი-დორადოსი | 2.55 | 3.1 | 2.4 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| 23:45 | 428 | კრუზ აზული-ამერიკა | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 23:45 | 432 | ტიგრესი-სანტოსი | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 23:45 | 433 | ტოლუკა-ხაგუარესი | 1.4 | 4.0 | 6.0 | 1.03 | 1.13 | 2.4 |
| 23:45 | 434 | ვერაკრუსი-პუებლა | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 426 | ატლანტე-ნეკაქსა | 1.6 | 3.4 | 4.8 | 1.08 | 1.2 | 1.99 |
| 23:45 | 430 | პუმასი-მორელია | 2.65 | 3.1 | 2.3 | 1.42 | 1.23 | 1.32 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 436 | კოლონი-ხიმნასია | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 22:30 | 437 | ესტუდიანტესი-ალმაგრო | 1.3 | 4.4 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.83 |
| 21:00 | 439 | ინსტიტუტო-სან ლორენსო | 1.85 | 3.3 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 23:10 | 441 | რივერ პლეიტი-ლანუსი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 22:30 | 442 | როსარიო-ველესი | 2.05 | 3.2 | 3.1 | 1.24 | 1.23 | 1.57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 444 | არსენალი-კილმესი | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | [illegible] | 1.86 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 720 | გოიასი-სან კაეტანო | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | [illegible] | [illegible] |
| 23:00 | 721 | პალმეირასი-ბრაზილიენსე | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 23:00 | 722 | ვასკო და გამა-ფორტალეზა | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 23:45 | 723 | პონტე პრეტა-ატლეტიკო მგ | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:45 | 724 | სან პაულო-პარანა | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 725 | ჟუვენტუდე-ატლეტიკო პრ | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:00 | 726 | ბოტაფოგო-კორინთიანსი | 2.55 | 3.3 | 2.4 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 23:00 | 727 | კრუზეირო-ინტერნაციონალი | 1.65 | 3.3 | 4.6 | 1.1 | 1.21 | 1.92 |
| 23:00 | 728 | ფიგეირენსე-ფლამენგო | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 23:45 | 729 | კურიტიბა-სანტოსი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| 23:45 | 730 | პაისანდუ-ფლუმინენსე | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 445 | პენიაროლი-სერიტო | 1.45 | 3.7 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 22:30 | 446 | დანუბიო-სერო | 1.35 | 4.2 | 6.5 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 22:30 | 448 | კოლონია-რივერ პლეიტი | 2.55 | 3.2 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.38 |
| 22:30 | 449 | ფენიქსი-ლივერპული | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 22:30 | 450 | პლასა-პაისანდუ | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 22:30 | 451 | რენტისტასი-უონდერერსი | 2.55 | 3.3 | 2.3 | 1.43 | 1.2 | 1.35 |
| 22:30 | 452 | როსა-რამპლა | 1.45 | 3.7 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 22:30 | 453 | ტაკუარემბო-მირამარი | 2.0 | 3.3 | 3.0 | 1.24 | 1.2 | 1.57 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 454 | აუდაქსი-მელიპილა | 1.5 | 3.6 | 5.3 | 1.05 | 1.16 | 2.13 |
| 23:45 | 456 | კოკიმბო-პალესტინო | 1.8 | 3.3 | 3.7 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 23:30 | 458 | უაჩიპატო-სან ფელიპე | 1.45 | 3.7 | 5.7 | 1.04 | 1.15 | 2.21 |
| 23:30 | 459 | რეინჯერსი-კოლო კოლო | 2.6 | 3.3 | 2.25 | 1.45 | 1.2 | 1.35 |
| 23:45 | 461 | კონსეპსიონი-პუერტო მონტი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 462 | უნ.ესპანიოლა-უონდერერსი | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 23:45 | 463 | უნ.ჩილე-უნ.კატოლიკა | 2.6 | 3.2 | 2.2 | 1.43 | 1.19 | 1.3 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:50 | 468 | სტრასბური-კაენი | 2.2 | 3.0 | 3.15 | 1.26 | 1.29 | 1.55 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 509 | ბენეტონი-ავრორა | 1.05 | 12.0 | 5.0 | 1.0 | 1.0 | 3.52 |
| 22:30 | 510 | ბოლონია-ბიელა | 1.25 | 12.0 | 3.0 | 1.13 | 1.0 | 2.3 |
| 22:30 | 513 | ნაპოლი-სიენა | 1.55 | 12.0 | 2.0 | 1.37 | 1.0 | 1.71 |
| 22:30 | 516 | სკავოლინი-ვარეზე | 1.25 | 12.0 | 2.9 | 1.13 | 1.0 | 2.33 |
| 22:30 | 517 | ლივორნო-კალაბრია | 1.6 | 12.0 | 2.0 | 1.41 | 1.0 | 1.71 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **30 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 520 | სან ფერნანდო-ხუვენტუდი | 1.85 | 12.0 | 1.65 | 1.6 | 1.0 | 1.35 |
| 22:30 | 521 | ხირონა-ტაუ | 3.0 | 12.0 | 1.25 | 2.4 | 1.0 | 1.15 |
| 22:45 | 522 | ლეიდა-ტენერიფე | 1.35 | 12.0 | 2.55 | 1.21 | 1.0 | 2.1 |
| 21:30 | 523 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1.15 | 12.0 | 3.8 | 1.04 | 1.0 | 2.88 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 14:30 | 518 | ბილბაო-რეალი | 2.6 | 12.0 | 1.35 | 2.13 | 1.0 | 1.21 |
| 14:30 | 519 | ალიკანტე-უნიკაბლე | 1.25 | 12.0 | 3.0 | 1.13 | 1.0 | 2.1 |
| 20:45 | 524 | ბრეოგანი-გრანადა | 1.25 | 12.0 | 3.0 | 1.13 | 1.0 | 2.3 |
| 21:00 | 525 | უნიკახა-ესტუდიანტესი | 1.25 | 12.0 | 2.9 | 1.13 | 1.0 | 2.33 |
| 14:30 | 526 | ბარსელონა-მანრესა | 1.1 | 12.0 | 4.5 | 1.0 | 1.0 | 3.27 |

# I ტაიმის შედეგები

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10005 | ბირმინგემი-ბლეკბერნი | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10006 | ფულემი-ევერტონი | 3.1 | 2.0 | 2.9 | 1.21 | 1.49 | 1.18 |
| 10007 | ლივერპული-მიდლსბრო | 2.05 | 2.0 | 5.0 | 1.01 | 1.45 | 1.42 |
| 10008 | სიტი-პორტსმუთი | 2.15 | 2.0 | 4.6 | 1.03 | 1.46 | 1.39 |
| 10009 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 2.15 | 2.0 | 4.6 | 1.03 | 1.46 | 1.39 |
| 10010 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 2.45 | 2.0 | 4.0 | 1.1 | 1.51 | 1.33 |
| 10011 | ბოლტონი-ჩელსი | 4.3 | 2.0 | 2.3 | 1.36 | 1.49 | 1.06 |
| 10013 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2.3 | 2.0 | 4.4 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10014 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 5.2 | 2.1 | 2.0 | 1.49 | 1.44 | 1.02 |
| 10016 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 5.2 | 2.0 | 2.0 | 1.44 | 1.44 | 1.0 |
| 10079 | ბოხუმი-მაინცი | 2.15 | 2.0 | 4.5 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10082 | ჰანზა-ჰერტა | 4.1 | 2.0 | 2.35 | 1.34 | 1.49 | 1.08 |
| 10084 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 4.6 | 2.0 | 2.1 | 1.39 | 1.44 | 1.02 |
| 10085 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 2.9 | 2.0 | 3.1 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10086 | შალკე-ლევერკუზენი | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10088 | ვერდერი-არმინია | 1.6 | 2.4 | 6.0 | 1.0 | 1.26 | 1.71 |
| 10089 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2.9 | 2.0 | 3.1 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10090 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2.6 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.49 | 1.27 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10161 | ფიორენტინა-მილანი | 4.5 | 2.0 | 2.1 | 1.38 | 1.43 | 1.02 |
| 10163 | ინტერი-სიენა | 1.6 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.26 | 1.66 |
| 10165 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.4 | 2.6 | 7.5 | 1.0 | 1.17 | 1.93 |
| 10167 | ლეჩე-ლაციო | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10169 | პალერმო-კიევო | 2.1 | 2.0 | 4.5 | 1.02 | 1.43 | 1.38 |
| 10170 | პარმა-ლივორნო | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |
| 10171 | რომა-ბრეშა | 2.0 | 2.1 | 5.2 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10173 | უდინეზე-ატალანტა | 1.87 | 2.1 | 5.3 | 1.0 | 1.38 | 1.5 |
| 10207 | ატლეტიკო-ბილბაო | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10208 | ბარსელონა-ალბასეტე | 1.25 | 3.5 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 2.51 |
| 10210 | ლევანტე-მალაგა | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10211 | მალიორკა-ესპანიოლი | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10212 | ნუმანსია-ვალენსია | 4.5 | 2.0 | 2.15 | 1.38 | 1.45 | 1.03 |
| 10213 | რასინგი-ბეტისი | 3.2 | 2.0 | 2.8 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10214 | სევილია-დეპორტივო | 2.1 | 2.0 | 4.7 | 1.02 | 1.45 | 1.4 |
| 10215 | სოსიედადი-რეალი | 4.5 | 2.0 | 2.2 | 1.38 | 1.47 | 1.04 |
| 10217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.65 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.29 | 1.66 |
| 10219 | სარაგოსა-ოსასუნა | 2.15 | 2.0 | 4.5 | 1.03 | 1.45 | 1.38 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | ბირმინგემი-ბლეკბერნი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11006 | ფულემი-ევერტონი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11007 | ლივერპული-მიდლსბრო | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11008 | სიტი-პორტსმუთი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11009 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11010 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11011 | ბოლტონი-ჩელსი | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11013 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11014 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 7.5 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.2 |
| 11016 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.2 |
| 11079 | ბოხუმი-მაინცი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11082 | ჰანზა-ჰერტა | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11084 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11085 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11086 | შალკე-ლევერკუზენი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11088 | ვერდერი-არმინია | 1.7 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.4 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11089 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11090 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11161 | ფიორენტინა-მილანი | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11163 | ინტერი-სიენა | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11165 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.6 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11167 | ლეჩე-ლაციო | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11169 | პალერმო-კიევო | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11170 | პარმა-ლივორნო | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11171 | რომა-ბრეშა | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11173 | უდინეზე-ატალანტა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11207 | ატლეტიკო-ბილბაო | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11210 | ლევანტე-მალაგა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11211 | მალიორკა-ესპანიოლი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11212 | ნუმანსია-ვალენსია | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11213 | რასინგი-ბეტისი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11214 | სევილია-დეპორტივო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11215 | სოსიედადი-რეალი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11219 | სარაგოსა-ოსასუნა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.0 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.45 | 2.3 |
| 16006 | ფულემი-ევერტონი | 1.8 | 1.65 |
| 16007 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.25 | 2.9 |
| 16008 | სიტი-პორტსმუთი | 1.3 | 2.65 |
| 16009 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.3 | 2.65 |
| 16010 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.45 | 2.3 |
| 16011 | ბოლტონი-ჩელსი | 2.3 | 1.45 |
| 16013 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.4 | 2.4 |
| 16014 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 2.8 | 1.3 |
| 16016 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 2.8 | 1.3 |
| 16079 | ბოხუმი-მაინცი | 1.3 | 2.8 |
| 16082 | ჰანსა-ჰერტა | 2.4 | 1.4 |
| 16084 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 2.7 | 1.3 |
| 16085 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.8 | 1.75 |
| 16086 | შალკე-ლევერკუზენი | 1.35 | 2.5 |
| 16088 | ვერდერი-არმინია | 1.1 | 4.5 |
| 16089 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1.7 | 1.8 |
| 16090 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.5 | 2.1 |
| 16161 | ფიორენტინა-მილანი | 2.6 | 1.3 |
| 16163 | ინტერი-სიენა | 1.12 | 4.5 |
| 16165 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.05 | 5.5 |
| 16167 | ლეჩე-ლაციო | 1.4 | 2.5 |
| 16169 | პალერმო-კიევო | 1.3 | 2.7 |
| 16170 | პარმა-ლივორნო | 1.15 | 4.0 |
| 16171 | რომა-ბრეშა | 1.2 | 3.2 |
| 16173 | უდინეზე-ატალანტა | 1.25 | 3.1 |
| 16207 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.35 | 2.5 |
| 16210 | ლევანტე-მალაგა | 1.35 | 2.5 |
| 16211 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.8 | 1.7 |
| 16212 | ნუმანსია-ვალენსია | 2.8 | 1.3 |
| 16213 | რასინგი-ბეტისი | 1.85 | 1.65 |
| 16214 | სევილია-დეპორტივო | 1.3 | 2.7 |
| 16215 | სოსიედადი-რეალი | 2.6 | 1.3 |
| 16217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.15 | 4.5 |
| 16219 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.3 | 2.7 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12005 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.6 | 2.0 |
| 12006 | ფულემი-ევერტონი | 1.6 | 2.0 |
| 12007 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12008 | სიტი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 12010 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12011 | ბოლტონი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12013 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.6 | 2.0 |
| 12014 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 12016 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 12079 | ბოხუმი-მაინცი | 1.9 | 1.7 |
| 12082 | ჰანსა-ჰერტა | 1.9 | 1.7 |
| 12084 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 12085 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.9 | 1.7 |
| 12086 | შალკე-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 12088 | ვერდერი-არმინია | 2.0 | 1.6 |
| 12089 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12090 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.9 | 1.7 |
| 12161 | ფიორენტინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12163 | ინტერი-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 12165 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 12167 | ლეჩე-ლაციო | 1.9 | 1.7 |
| 12169 | პალერმო-კიევო | 1.6 | 2.0 |
| 12170 | პარმა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 12171 | რომა-ბრეშა | 1.9 | 1.7 |
| 12173 | უდინეზე-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 12207 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12208 | ბარსელონა-ალბასეტე | 2.0 | 1.6 |
| 12210 | ლევანტე-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 12211 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12212 | ნუმანსია-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 12213 | რასინგი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12214 | სევილია-დეპორტივო | 1.6 | 2.0 |
| 12215 | სოსიედადი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 12217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12219 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.75 | 2.1 |
| 14006 | ფულემი-ევერტონი | 1.95 | 1.85 |
| 14007 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.45 | 2.4 |
| 14008 | სიტი-პორტსმუთი | 1.45 | 2.4 |
| 14009 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.6 | 2.3 |
| 14010 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.75 | 2.1 |
| 14011 | ბოლტონი-ჩელსი | 2.3 | 1.6 |
| 14013 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.7 | 2.2 |
| 14014 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 2.4 | 1.45 |
| 14016 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 2.4 | 1.45 |
| 14079 | ბოხუმი-მაინცი | 1.45 | 2.4 |
| 14082 | ჰანსა-ჰერტა | 2.2 | 1.7 |
| 14084 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 2.4 | 1.45 |
| 14085 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.9 | 1.9 |
| 14086 | შალკე-ლევერკუზენი | 1.65 | 2.3 |
| 14088 | ვერდერი-არმინია | 1.2 | 2.6 |
| 14089 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14090 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.8 | 2.0 |
| 14161 | ფიორენტინა-მილანი | 2.4 | 1.45 |
| 14163 | ინტერი-სიენა | 1.3 | 2.5 |
| 14165 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.08 | 2.9 |
| 14167 | ლეჩე-ლაციო | 1.7 | 2.2 |
| 14169 | პალერმო-კიევო | 1.65 | 2.3 |
| 14170 | პარმა-ლივორნო | 1.3 | 2.5 |
| 14171 | რომა-ბრეშა | 1.45 | 2.4 |
| 14173 | უდინეზე-ატალანტა | 1.3 | 2.5 |
| 14207 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.7 | 2.2 |
| 14208 | ბარსელონა-ალბასეტე | 1.02 | 2.9 |
| 14210 | ლევანტე-მალაგა | 1.7 | 2.2 |
| 14211 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.95 | 1.85 |
| 14212 | ნუმანსია-ვალენსია | 2.4 | 1.45 |
| 14213 | რასინგი-ბეტისი | 1.95 | 1.85 |
| 14214 | სევილია-დეპორტივო | 1.65 | 2.3 |
| 14215 | სოსიედადი-რეალი | 2.3 | 1.45 |
| 14217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.2 | 2.6 |
| 14219 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.45 | 2.4 |

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13005 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13006 | ფულემი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13008 | სიტი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13010 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13011 | ბოლტონი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13013 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13014 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13016 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 13079 | ბოხუმი-მაინცი | 1.7 | 1.9 |
| 13082 | ჰანსა-ჰერტა | 1.7 | 1.9 |
| 13084 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13085 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.7 | 1.9 |
| 13086 | შალკე-ლევერკუზენი | 1.7 | 1.9 |
| 13088 | ვერდერი-არმინია | 1.7 | 1.9 |
| 13089 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1.7 | 1.9 |
| 13090 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.7 | 1.9 |
| 13161 | ფიორენტინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13163 | ინტერი-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 13165 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.9 | 1.7 |
| 13167 | ლეჩე-ლაციო | 1.6 | 2.0 |
| 13169 | პალერმო-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13170 | პარმა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13171 | რომა-ბრეშა | 1.6 | 2.0 |
| 13173 | უდინეზე-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13207 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13208 | ბარსელონა-ალბასეტე | 1.9 | 1.7 |
| 13210 | ლევანტე-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13211 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 13212 | ნუმანსია-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13213 | რასინგი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13214 | სევილია-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13215 | სოსიედადი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13219 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17005 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ფულემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17008 | სიტი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ბოლტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1.87 | 1.95 |
| 17014 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ბოხუმი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ჰანსა-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17084 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | შალკე-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17088 | ვერდერი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17089 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17090 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17161 | ფიორენტინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ინტერი-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17165 | იუვენტუსი-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17167 | ლეჩე-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17169 | პალერმო-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17170 | პარმა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17171 | რომა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17173 | უდინეზე-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17207 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17208 | ბარსელონა-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ლევანტე-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17211 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ნუმანსია-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17213 | რასინგი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17214 | სევილია-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17215 | სოსიედადი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17219 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ფულემი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | ლივერპული-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | სიტი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | ნიუკასლი-კრისტალ პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15011 | ბოლტონი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15013 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15014 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15016 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | ბოხუმი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | ჰანსა-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | შალკე-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | ვერდერი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15090 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15160 | კალიარი-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15161 | ფიორენტინა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15163 | ინტერი-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15165 | იუვენტუსი-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15167 | ლეჩე-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15169 | პალერმო-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15170 | პარმა-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15171 | რომა-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15173 | უდინეზე-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 | ატლეტიკო-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15208 | ბარსელონა-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15210 | ლევანტე-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15211 | მალიორკა-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15212 | ნუმანსია-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15213 | რასინგი-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15214 | სევილია-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15215 | სოსიედადი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15217 | ვილიარეალი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15219 | სარაგოსა-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## საქართველოს ჩემპიონატი

# ბურჯი ვერ შესწვდა სტუ-საო, პარასკევია დღესაო

29 აპრილი. ვერის ბაღი

**სტუ 2**
**ბურჯი 0**

**ბურჯი 90:123 სტუ**
22:25 18:30 21:37 29:31

**ბურჯი:** ჭუაძე, პაპუნაშვილი (8), ნუცუბიძე (12), აკოლაშვილი (15), დოლმაზაშვილი (6), ამირანაშვილი (1), ს. შერმადინი (1), ქისტაური (11), ცერცვაძე (9), ნინუა (26), ანთელავა (1)
**სტუ:** დ. ბერიშვილი (16), კეიდია (12), კოხრეიძე (10), შანიძე (24), მათიაშვილი (10), მარკოიშვილი (29), გოგობერიშვილი (4), მიქაძე (11), დევაძე (7)
**მსაჯები:** ხათუნა გაბედავა, დავით არეშიძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**ირაკლი პერტაია**

## ტექნიკოსები ნახევარფინალში იოლად მოკალათდნენ



გურამ [illegible] ფოტო

ტექნიკოსთა ცენტრმა რიჩარდ მათიაშვილმა (ბურთით) თელაველებთან თამაშით გული იჯერა

**ეროვნული** ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალისტი გუშინ გამოვლინდა. „სტუ-ჯეოსელმა“ საპლეიოფო სერიის მეორე მატჩიც მოუგო თელავის „ბურჯს“ და ახლა „დინამოსთან“ საბრძოლველად ილესავს კბილებს, რომელიც თავის მხრივ დღეს „მაკაბის“ ხვდება და სავარაუდოდ გზიდანაც ჩამოიცილებს.

ტექნიკოს-თელაველთა მატჩიც დღეს უნდა გამართულიყო, თანაც კახეთის სატახტო ქალაქში, მაგრამ მიზეზთა გამო მეოთხედფინალური სერიის მეორე შეხვედრას კვლავ ვერის ბაღმა უმასპინძლა.

ისედაც მწირი გულშემატკივარი იკრიბება ვერის ბაღში და გუშინ, თანაც წითელ პარასკევს, მხოლოდ ამ უინტერესო მატჩის სანახავად ვინ შეიწუხებდა თავს. ამიტომაც იყო, ტრიბუნებზე მაყურებელთა თითზე დასათვლელი რაოდენობა რომ შეიკრიბა. სტუ-ს ფანკლუბის მხოლოდ მეათედი იყო მოსული, მაგრამ ქომაგობა, ისევ და ისევ მეტოქის სიძაბუნის გამო, რატომღაც ეხამუშებოდა.

სტუდენტები რომ თელაველებს იოლად მოუგებდნენ, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდებოდა. კახელებისთვის ეს იყო სეზონის გამოსამშვიდობებელი მატჩი და მათ სურდათ, ჯიგრიანი ბურთაობით ეჯერათ გული. თელაველებმა ეს მხოლოდ საწყის 12 წუთში მოახერხეს, სანამ სტუ აიწყვეტდა და მოურიდებლად მიჰყოფდა მეტოქეთა რბევას ხელს.

თამაში თანაბრად დაიწყო, მაგრამ სტუდენტების უპირატესობა მალევე გამოიკვეთა და ძირითადად სამარქაფოებით მოთამაშე სტუ-მ მცირე ლიდერობა მოიპოვა. თავს არ იკლავდნენ ტექნიკოსები, რასაც ვერ ვიტყვით თელაველებზე და შედეგად საწყისი მეოთხედის ბოლო წამზე „ბურჯმა“ ჩამორჩენა სამ ქულამდე შეამცირა. ეს ამბავი მეტად ეფექტურად მოხდა და სწორედ ეს იყო ამ მატჩის ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი.

სტუ-მ რომ მორიგი ქულები მიითვალა და 25:19 დაწინაურდა, პირველი მეოთხედის დასრულებას 3 წამი აკლდა. თელაველებმა ბურთი თამაშში შემოიტანეს და სირენამაც მოატანა. „ბურჯის“ გამთამაშებელმა მანუჩარ ნინუამ სამეოსნო ნახევრიდან ისროლა და სანამ ბურთი კალათში ჩავარდებოდა, სირენაც გაისმა.

თელაველების მეორე [illegible] შემდეგაც გაჰყავთ [illegible] და ენთუზიაზმი, [illegible] სროლით [illegible] აქტიური და [illegible] სამ წუთზე „ბურჯს“ [illegible] რდა. დავით [illegible] ლაიბმა თელაველთა [illegible] ანგარიში დაამყარეს [illegible] 26:27.

სტუდენტები არ [illegible] რა ჰქონდათ [illegible] მთელი 25 წუთი [illegible] მ ნელ-ნელა [illegible] ლიდერობა და [illegible] 10 ქულას იყვნენ. „ბურჯი“ [illegible] და თამაშის [illegible] მხოლოდ [illegible]

„ბურჯმა“ 12-წუთიანი შესვენების შემდეგ [illegible] და 4 გამარჯვება [illegible] სუსტი გუნდების [illegible] ხელავთ, ეს არ [illegible] შედეგად. რაც შეეხება, სტუ-ს, ის უკვე ნახევარფინალშია და [illegible] „დინამოს“ შეერკინება.

## NBA PLAY OFF 2005

# მყრალი ბებრის ოინები
## ნოვიცკიმ დალასს თავი აჰოვნინა

— 28 აპრილი —

**აღმოსავლეთი**

მაიამი 3:0 ნიუ ჯერსი

**ნიუ ჯერსი 105:108 მაიამი**

ძირითადი დრო 90:90

**ნიუ ჯერსი:** კიდი (16 ქულა, 16 მოხსნა, 13 პასი), კარტერი (36 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), სკალაბრინი (2), კოლინზი (3 ქულა, 10 მოხსნა), კრსტიჩი (18); ჯეფერსონი (23), რობინსონი (4), ბესტი (3)
**მაიამი:** ვეიდი (22 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი, 4 ჩაჭრა), დ. ჯონსი (12), ე. ჯონსი (20), ჰეისლიპი (14 ქულა, 19 მოხსნა), ონილი (25); დულინგი (13), ანდერსონი (2), მურნინგი, ლეიტნერი, სმიტი

**მშვენიერი** გუნდია „ნიუ ჯერსი ნეთსი“, მოთამაშეებიც ქებული ჰყავს და გადასარევადაც ბურთაობს, მაგრამ „მაიამი ჰიტი“ მეტისმეტად დიდი ლუკმა აღმოჩნდა მისთვის. „ბადეებმა“ შინაც წააგეს „ხვატთან“, სერიაში 0:3 ჩამორჩნენ და პრაქტიკულად გასავარდნად გაიწირნენ. ამხელა ჩამორჩენა ნბაში ჯერ ვერც ერთ გუნდს გაუბათილებია.

არადა, ამ შეხვედრაში არც „მაიამის“ მარცხი დაურჩებოდა ვინმე სენსაციად. პირველიდან ბოლო, ანუ 58-ე წუთამდე დაძაბულ მატჩში მასპინძლები მწარედ ჩხვლეტდნენ ფავორიტებს და მათ ჩაუქ გამთამაშებელ ჯეისონ კიდს ძირითადი დროის ბოლო წამებზე რომ ჩაეგდო, დამსახურებულ გამარჯვებას ჩაუწერდა „ნიუ ჯერსის“ და „ჰითთან“ ზედიზედ წაგებათა 6-მატჩა ჯაჭვს გაწყვეტდა. მაგრამ ვერ ჩააგდო და თანაგუნდელებიცა და საკუთარი თავიც ოვერტაიმისთვის გაწირა.

ვერც პირველმა ოვერტაიმმა გამოავლინა მჯობნი. 99:96 ანგარიშზე კიდის თანაგუნდელმა ვინს კარტერმა იხსნა თავისიანები, ზედ სირენასთან ერთად ტყორცნა და სანამ ნასროლი ჩაეშვებოდა, ყველას თავისი დაემართა — ბურთმა რამდენიმე სკუპი გააკეთა რგოლზე და მერეღა ინება კალათში ჩავარდნა. „ნიუ ჯერსი“ ამჯერად კი გადარჩა, მაგრამ შაკილ ონილის და მისი თანამეინახეების დევნაში მასპინძლები ისე გასავათებულიყვნენ, მეორე დამატებით დროში აღარაფრის თავი აღარ შერჩენოდათ. 5 წუთში მხოლოდ 3 ქულა გააკეთეს და 108:102 დაწინაურებულ მომხდურებს ბოლოსღა ჩაუგდეს „პრესტიჟის“ სამქულიანი.



დალასელმა დირკ ნოვიცკიმ „ჰიუსტონს“ 28 ქულა ჩაუგდო

**ბოსტონი 1:2 ინდიანა**

**ინდიანა 99:76 ბოსტონი**

**ინდიანა:** ჯონსონი (4), მილერი (33), ჯექსონი (10), ონილი (21 ქულა, 11 მოხსნა), დევისი (9); ფ. ჯონსი (7), ფოსტერი (4), კროშერი (4), ჯ. ჯონსი (3), პოლარდი (2), გილი (2)
**ბოსტონი:** პეიტონი (15), ალენი, პირსი (19), უოლკერი (14), ლაფრენცი (3); ბანქსი (7), პერკინსი (6), დევისი (4), ჯეფერსონი (4), ვესტი (2), რიდი (2), ბლუნტი

**„მეზიზღება** ეგ ბიჭი — თქვა ნამარცხევს „ბოსტონის“ თავკაცმა დოკ რივერსმა, როდესაც რეჯი მილერზე ჩამოუგდეს სიტყვა — არა, რეჯი დიადი მოთამაშეა, ამას ვერავინ უარყოფს და სწორედ მაგიტომაც მეზიზღება.“

რივერსი პირველი არაა, ვინც ამ მართლა დიდი მოთამაშის მამართ თავისი „სიმპათია“ სახალხოდ გამოხატა. მილერი რამდენიმე კვირაში დაამთავრებს კარიერას და კალათბურთიდან წასული თან წაიყოლებს იმ ხალხის ბოღმას, ვის წინააღმდეგაც უთამაშია. მისი წარსულის დიდებული გვერდების ფურცვლა არცაა საჭირო, „ბოსტონთან“ მიმდინარე სერიაში შევაჯამოთ მისი მოგანარი: პირველი მატჩში 7 ქულა ჩააგდო და „ინდიანამ“ 82:102 დაუთმო „ბოსტონს“. მეორეში 28 ქულა გააკეთა და 82:79 მოაგებინა თავისიანებსა, ახლა კი 33 ქულა გამოჭედა და „ინდიანას“ 22-ქულიანი გამარჯვება მოუტანა. გამოდის, თამაშის შედეგი პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული მილერის თამაშზე და არა აქვს მნიშვნელობა, როგორც ითამაშებენ მისი მოწინააღმდეგეები. თან მისი ასაკი ხომ გახსოვთ? 39 წლისა ბრძანდება.

ნამატჩევს ბოსტონელები წუწუნებდნენ, მაგ მყრალმა ბებერმა იმიტომ მოგვიგო, რომ ბოლო სეზონს ატარებს და მსაჯები კუდს უწევენო. საინტერესოა, 33 ქულაც მსაჯებმა ჩაუგდეს?

**დასავლეთი**

დალასი 1:2 ჰიუსტონი

**ჰიუსტონი 102:106 დალასი**

**ჰიუსტონი:** ვესლი (17), სურა (21 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), მაკგრეიდი (28 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ბოუენი, მინგი (15 ქულა, 10 მოხსნა); ბერი (7), [illegible] (6), პადჯეტი (6), მუტომბო (2)
**დალასი:** ტერი (13), ფინლი (20), ჰოვარდი (7), ნოვიცკი (28), დამპიე (4), სტეკჰაუზი (18), ჰარისი (6), დანიელსი (6), ვან ჰორნი (4), ბრედლი, არმსტრონგი

**„დალას მივერიკსი“** [illegible] გადაურჩა „ჰიუსტონ როკეტსთან“ [illegible] დიზედ მესამე მარცხს [illegible] სტად რომ ვთქვათ, [illegible] გადაარჩინა. არც წინა ორ მატჩში [illegible] [illegible] ნულები [illegible] მის განეიტრალებას, ახლა [illegible] ფერი მოუხერხეს, განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში და [illegible] ნისაც დაკარგეს.

დასკვნით 12-წუთეულის [illegible] ყისში [illegible] მინვის „ჰიუსტონი“ [illegible] 88:80 ლიდერობდა და [illegible] ბოლოში და, [illegible] ლათ, ამას ნაკლებად [illegible] ლმა მასპინძლებმა [illegible] მეეს. ნოვიცკიმ, რომელიც [illegible] მატჩის განმავლობაში [illegible] ვლა [illegible] ველარ შეიკავა, [illegible] დანიელსის [illegible] პასი [illegible] მთელი [illegible] კლასი [illegible] [illegible] (88:100) [illegible] გრამ [illegible] მხოლოდ ნაწილი [illegible]

**კოტე ყორშია**

## საქართველოს XV ჩემპიონატი

პირველი ფინალური წრე



გურამ მურადაშვილის ფოტო

შევარდნელ ვლადიმერ რუსიას ორი მცველიც ვერ აჩერებს

# თელავმა მამულთან ქედი მოიხარა

**ხ/კ თბილისი 26:22 ქუთაისი**

**თბილისი:** სამარღანიშვილი (გაიტანა 13 გოლი), ჩაჩანიძე (3), გელაშვილი (3), აბულაძე (3)

**ქუთაისი:** მამასახლისი (8), ჩუბინაშვილი (4), გოგანაძე (4)

**სტუ-შევარდენი 37:23 ძარიშხალა**

**სტუ-შევარდენი:** რუსია (14), ნადირაძე (7), ბოყოჩაძე (6), ტალახაძე (4)

**ძარიშხალა:** ბერძენიშვილი (6), გოგალაძე (4), გელა არაბული (3)

**საუ-მამული 38:33 თელავი**

**საუ-მამული:** წივწივაძე (16), ცოტაძე (9), კობახიძე (5), ოსიყმაშვილი (4)

**თელავი:** ნატროშვილი (11), გიორგელაშვილი (8), ჯიშკარიანი (7), ჩიკვაიძე (4)

**გუშინ** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ერთი ზეპრინციპული მატჩი შედგა. ერთმანეთის სატურნირო ცხრილში მეზობლები — აგრარული უნივერსიტეტის „მამული“ და „თელავი“ დაუპირისპირდნენ.

თბილისელებს მარაგში ხუთი ქულით მეტი კი ჰქონდათ, მაგრამ კახელთა გუნდი წარმატების შემთხვევაში, რომ იტყვიან, გასროლის მანძილზე დაუახლოვდებოდა მეტოქეს. დარჩენილ ექვს ტურში კი ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. თავის მხრივ, აგრარებიც თავდაუზოგავად იბრძვიან, რადგან ბრინჯაოს მედლებისთვის ყოველი ქულა ძვირფასი ესაჭიროებათ.

ერთი სიტყვით, დაძაბული შეხვედრა იყო მოსალოდნელი და ვარაუდიც გამართლდა. თელაველებმა ყოჩაღად დაიწყეს და ცაცია ალიკ გიორგელაშვილმა პირველივე შეტევით ანგარიში გახსნა, მაგრამ ამის შემდეგ ისე დაიბნენ, რომ მომდევნო ცხრა წუთში ერთხელაც ვერ მოახერხეს ბრწყინვალედ მოთამაშე ალექსანდრე ხონელიძის კარში გოლის გატანა.

მეკარე მეკარედ, მაგრამ უფრო მეტად თავად თელაველებს მიუძღვით ამაში ბრალი, ბურთს არაზუსტად ტყორცნიდნენ და დაცვაშიც მიუტევებლად ცდებოდნენ. საწყის ათ-თორმეტ წუთში იმდენი ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს, შეუძლებელი იყო, არ დასჯილიყვნენ. „აიწყვიტა“ მამულელთა ლიდერ-კაპიტანმა გიორგი წივწივაძემ, ამ პერიოდში ხუთი ზუსტი ტყორცნა მიითვალა, თითოც გიორგი კობახიძემ და უჩა მაისურაძემ და თბილისელები ექვსი ბურთით გაიჭრნენ წინ — 7:1.

პრაქტიკულად ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი მომენტი. თელაველებს მონდომება არ დაუკლიათ და საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს — 30:31. ცოტაც და ფრესაც გამოჰკრავდნენ ხელს, მაგრამ ამ „ცოტასთვის“ ძალა აღარ ეყოთ.

„საუ-მამულმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა და ცხრილში მესამე ადგილზე წამოსწევდა „ძარიშხალასთან“ ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსის (27:27, 34:29) წყალობით. თუმცა მთავარი ბრძოლა ჯერ წინაა. ბრინჯაოს მედლების პრეტენდენტები დღეს, პირველი ფინალური წრის დასკვნით ტურში შეებმებიან ერთმანეთს.

ყველაზე ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ ტურნირის ლიდერ „სტუ-შევარდენს“. ეს იმიტომ, რომ მუდმივი ჩემპიონის საამივით აწყობილ-მომარჯვებული გუნდის თამაში სასიამოვნო საცქერი კია, თუმცა იმავდროულად ნაკლებად საინტერესო, რადგან ტექნიკოსები ნებისმიერ მეტოქესთან შეხვედრაში დასაწყისშივე „გარბიან“ წინ და საბოლოოდ მათი უპირატესობა 15-20 ბურთით გამოიხატება, ზოგჯერ მეტითაც. ირაკლი ძაძულიძის ბიჭებს ყოველ მატჩში საშუალოდ 38 გოლი გააქვთ, საკუთარ კარში კი 24-ს უშვებენ.

დღეს ცენტრალური, უპრინციპულესი მატჩია „სტუ-შევარდენსა“ და „ხ/კ თბილისს“ შორის. შეგახსენებთ, წინა ორი მატჩიდან ჩემპიონობის პრეტენდენტებმა თითო მოიგეს — 23:26 და 24:15. ტექნიკოსები მოგების შემთხვევაში პრაქტიკულად გაინაღდებენ პირველობას, ხოლო „თბილისის“ გამარჯვება ჩემპიონატს „ოქროს“ ინტრიგას ბოლომდე შეუნარჩუნებს და ყველაფერი ოცდაორი დღის შემდეგ, მათ მეოთხე დაპირისპირებაში გაირკვევა.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 20 | 0 | 1 | +295 | 40 |
| თბილისი | 19 | 1 | 1 | +109 | 39 |
| საუ-მამული | 12 | 1 | 8 | +199 | 25 |
| ძარიშხალა | 12 | 1 | 8 | +41 | 25 |
| თელავი | 9 | 0 | 12 | -34 | 18 |
| ქუთაისი | 8 | 1 | 12 | -43 | 17 |



# ვინ მოხვდება მესხაძის გუნდში?

## მოკრივეებმა თურქეთი მოილიეს და საქართველოს ელიან

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრები თურქეთიდან ერთი ვერცხლით დაბრუნდა. სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე ეროვნულის თავკაცმა თენგიზ მესხაძემ არასრული და ახალგაზრდული შემადგენლობა რომ იახლა, ადრევე გაუწყეთ. შედეგიც რომ შედარებით მოკრძალებული იქნებოდა, ესეც მაშინვე გაირკვა. 2005 წლის უმთავრესი მოვლენა ნოემბერში, პეკინში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატია და მანამდე გამართულ ტურნირებზე თავის გამოჩენის შანსი ყველა პერსპექტიულ მოკრივეს უნდა მიეცეს. საჩინეთო შემადგენლობაში საუკეთესოები მოხვდებიან.

სტამბოლში ერთადერთი მედალი ჭიათურელმა ანატოლი ქავთარაძემ (75კგ) მოიგო. იგი 25 წლისაა, თუმცა ქართული გუნდის თურქული შემადგენლობიდან ყველაზე უფროსიცაა და გამოცდილიც.

„ქავთარაძემ ფინალამდე ოთხი მეტოქე ჩამოიცილა. იქ კი ძლიერ უკრაინელთან თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა — გვითხრა გუშინ მესხაძემ — მისი და მთლიანად გუნდის გამოსვლით კმაყოფილი დავრჩი. ერთი მედლის მეტი რომ ვერ ჩამოვიტანეთ, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ნაკრებში გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს და საუკეთესოები 19-20 ბიჭებს შორის უნდა შევარჩიოთ. საკმაოდ პერსპექტიული თაობა მოდის, მაგრამ საერთაშორისო არენაზე წარმატებებისთვის ჯერ გამოცდილების მიღება სჭირდებათ. ამ ეტაპზე მთავარი მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის შექმნაა. თავის გამოჩენის შანსი ყველა კანდიდატს უნდა მივცეთ და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უძლიერესი შემადგენლობა შევარჩიოთ. თურქეთში წაყვანილებმა გამოცდა საკმაოდ კარგად ჩააბარეს“.

სტამბოლის ტურნირზე ვაჟებთან ერთად საქართველოს ქალთა ნაკრებიც ჩავიდა. ეს ქართველების პირველი გასვლა იყო საერთაშორისო არენაზე და, როგორც მოსალოდნელი იყო, უმედლოდ დავრჩით. მესხაძემ აქაც გამოცდილება ახსენა, თორემ საბრძოლო შემართებით ჩვენი გოგონები მართლაც გამორჩეულები იყვნენო. კრივის საერთაშორისო ფედერაცია ოლიმპიურ თამაშებზე ქალთა კრივის შეტანას აპირებს და საქართველოს ფედერაციასაც საერთაშორისო ტურნირებზე ქალების მონაწილეობას კატეგორიულად სთხოვს. ასე რომ, გამოცდილება ნელ-ნელა თავისით მოვა. 11-15 მაისს საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, რომელზეც თურმე ორმოცდაათამდე გოგონა იჩხუბებს. სწორედ იქ გამარჯვებულებით დაკომპლექტდება ნაკრები.

საქართველოს პირველობას მესხაძეც დიდი ინტერესით ელის. აქაოდა, შემოდგომამდე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი კი გვიწევს, მაგრამ მანამდე ნაკრების კანდიდატები ერთმანეთში გაარკვევენ საუკეთესოებსო. იქვე დასძინა, რომ 11-15 მაისს რინგზე საქართველოს ყველა უძლიერესი მოკრივე ავა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ნორვეგიაც გავიარეთ, წინ კი ფინეთია

**ფედერაციის** თასზე წარგზავნილი ჩვენი ქალმოჩოგნეთა ამქარი, რომელიც ევრო-აფრიკული ზონის B ჯგუფში ასპარეზობს და A ჯგუფში ალზევებისთვის იბრძვის, კარგად გამოიყურებოდა თურქულ ანტალიაში.

ამჯერად ჩვენებურებმა ნორვეგიელებთან მოახერხეს ჩოგნის „მარჯვედ ქნევა“. „ალი ბეი მანავგათის“ კორტებზე მაკა ჩახნაშვილმა 2 სეტში — 6:2, 6:2 მოუგო იდუნ ჰერცბერგს, თინათინ ყავლაშვილმაც 2 სეტში მოუმთავრა საქმე კაროლინე შტეიროს — 6:0, 6:1.

მესამე თამაშს წყვილთა თანრიგში სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა აღარ ჰქონდა და სალომე ჩაჩხუნაშვილ — თათია მიქაძის „დუეტმა“ 3:6, 4:6 დათმო შეხვედრა.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა ნაკრებმა პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. მომავალი მეტოქე ფინეთია. მათი ძლევის შემთხვევაში ქართველი გოგოები ევრო-აფრიკული ზონის A ჯგუფში ალზევდებიან.

**ლადო წულუკიძე**

# ანამ კიდევ ერთხელ დაგლიჯა

**BMW OPEN**
**მიუნხენი. თიხნარი.**
**საპრიზო 302 ათასი ევრო**
**მეორე წრე**

**დავიდ ნალბანდიანი** (1, არგენტინა) — პიტერ ლუშაკი (ავსტრალია) 6:2 6:2; **რაემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) — ნიკოლაი დავიდენკო (2, რუსეთი) 6:1 1:6 6:3; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — მარიო ანჩიჩი (3, ხორვატია) 7:6 (7:5) 6:4; **ტომი ჰაასი** (4, გერმანია) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:3 6:4; **ანდრეი პაველი** (5, რუმინეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:1 1:6 6:1; **უეინ ართურსი** (ავსტრალია) — იგორ ანდრეევი (6, რუსეთი) 6:4 6:7 (5:7) 7:6 (7:3); **ხუან მონაკო** (არგენტინა) — პარადორნ შრიჩაფანი (7, ტაილანდი) 7:6 (14:12) 2:6 6:3

**ჰოლანდიელი** რაემონ სლოიტერი კორტს თვენახევრიანი სალმობის შემდეგ მოუბრუნდა და იმდენი ქნა, რომ ტურნირიდან შარშანდელი ჩემპიონი ნიკოლაი დავიდენკო აოტა. გამოთხოვების ბედსწერას შეხვდა ბოლო გერმანელმა ტომი ჰაასმა, ვინაც ტურნირზე მეექვსედ გამოდის და ერთხელ, 2000 წელს ფინალშიც უჩოგნავია. ამ ჯერზე მან 68 წუთში დაიოკა კორეელი ლი. კიდევ უფრო იოლი ბრძოლა გადახდა ტურნირის მთავარგანთესილ დავიდ ნალბანდიანს. პარადორნ შრიჩაფანმა კი ამ ერთხელაც ჩაიფლავა, რაკი ვერაფერი გააწყო არგენტინელი მონაკოს წინააღმდეგ. წლეულს თავის პირველ შეთიხედფინალს უწია ფინელმა ნიემინენმა — მან საამისოდ ღონიერი ხორვატის, გოლიათივით წოდებული ანჩიჩის ოტება დასჭირდა.

**J&S CUP**
**ვარშავა. თიხნარი.**
**საპრიზო 585 ათასი“**
**მეორე წრე**

**ანა ივანოვიჩი** (სერბეთი) — ვერა ზვონარიოვა (3, რუსეთი) 6:2 6:4; **პატი შნიდერი** (4, შვეიცარია) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:2 6:4; **ნატალი დეში** (6, საფრანგეთი) — მარტა დომახოვსკა (პოლონეთი) 6:4 7:6 (7:4); **ჟუსტინ ენენ-არდენი** (ბელგია) — მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) 6:3 7:5

**ყველაზე** სასეირო ამბავი აქ 17 წლის სერბ ანა ივანოვიჩის მიერ მესამე ნომრად განთესილ ვერა ზვონარიოვას გაბუნძულება იყო. ალბათ გეხსომებათ, ამ გოგოცუნამ მაიამიში ზვონარიოვაზე უფრო სახელიან რუსგოგო კუზნეცოვასაც შეუბრუნა ჩოგანი და ჩვენ კლავიატურაზეც მისდამი მიძღვნილი პირველი სადღეგრძელოც ემაშინ აიკრიფა. რაკილა, საასეთო ამბებისთვის სტაქნები ჩვენ მუდამ გადაპიპინებული გვაქვს და ანამაც კიდევ ერთხელ დაგლიჯა ცხადია, არც ჩვენი მორიგი სადღეგრძელო დაახანებს, მით უფრო, რომ ანას გამარჯვება მართლაც გაუსაჩივრებელი გახლდათ და ვერამ ვერაფერი მოუხერხა მის აგრესიულ და ასაკისთვის შეუფერებლად თავდაჯერებულ ბურთაობას. სხვაფრივ — უსახელო ვენესუელელი ვენტო-კაბჩის დამორჩილება ეგზომ გაუჭირდა წინისწინა კვირაში ჩარლსტონობაზე გალაღებულ ჟუსტინ ენენ-არდენს, რომელიც მერე იახლა, დღეს რომ გამიჭირდებოდა, რომ გავიღვიძე, იმ მომენტიდანვე ვიცოდიო. რატომღა და ისედაც ნელი აქაური საფარი წვიმამ კიდევ უფრო დაალბო და თამაში საერთოდაც უცეცხლო და ზოზინა გამოვიდა. მოკლედ — გაამასპინძლა, რა.

**ეშტორილის**
**ღია პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო**
**510 ათასი ევრო**
**მეორე წრე**

**კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 7:5 6:7 (4:7) 6:4; **დავიდე სანგვინეტი** (იტალია) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 5:7 6:3 6:4; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) 7:5 6:0; **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — ტომაშ ჩაკლი (ჩეხეთი) 6:1 6:1

**დღის** უმნიშვნელოვანეს მოვლენად ამქრის ორი ნაპირველოსნარი და როლანგაროსიანი ესპანელის — კარლოს მოიასა და ხუან კარლოს ფერეროს შეხლა იქცა. მატჩმა ორ საათსა და 48 წუთს გასტანა და საამმომენტოდ თითქმის უფრო ცუდ ფორმაში მყოფი მოიას გამარჯვებით დასრულდა. ვფიქრობ, დღეს მენტალურად უფრო ძლიერი გამოვდექი და ყველაფერი ამან გადაწყვიტაო, ამბობდა ნამატჩევს ნატჩივი მალიორკელი და მართალიც იყო. ისე კი, ეს მათი მეთერთმეტე შეხვედრა გახლდათ და მოიამ უკვე მეშვიდედ სძლია ფერეროს. ამასთან — ამ თერთმეტიდან ეს მეექვსედ მოხდა, ესპანეთის ნადალამდელმა ყოჩებმა ჩოგნები თიხნარზე რომ გადააჯვარედინეს და, ბარემ აქვე გეტყვით, მოია აქაც უპირატესობს - 4:2.



ავთანდილ ცერცვაძეს (მარცხნივ) მძიმე წონაში ბადალი არ ჰყავდა



ადამ ოქრუაშვილმა ბრინჯაოს მედლისკენ შალვა ჯანეზაშვილის ძლევითაც გაიკვალა გზა

# ქომაგმა სუმისტომოებს კლასი უჩვენა

**გუშინ** დილმის სპორტკომპლექსში სპორტის საკმაოდ ეგზოტიკურ სახეობა, სუმოში გაიმართა საქართველოს მესამე ჩემპიონატი.

მონაწილეთა რაოდენობა მცირე იყო და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სუმოში თითო ორთაბრძოლა სულ რამდენიმე წამს გრძელდება, გასაკვირი არაა, რომ პრიზიორები ყველა წონით კატეგორიაში გუშინვე გამოვლინდნენ.

პირველ წონით კატეგორიაში ერთმანეთს 85 კგ სპორტსმენები ერკინენ.მედლებზე პრეტენზიას 4 სუმისტომო აცხადებდა და წრიული სისტემით ჩატარებული 6 შეხვედრის შემდეგ გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა. 3 გამარჯვებით ოქროს მედალი ლევან გორგაძეს ერგო, ივანე წივილაძე 2 გამარჯვების წყალობით ვერცხლი ირგუნა, ბრინჯაოს მედალი კი 1 გამარჯვების მომპოვებელმა ლევან რაზმაძემ დაისაკუთრა.

საინტერესო რამ 115 კგ წონით კატეგორიის მედლების გათამაშებისას მოხდა. პრეტენდენტი სულ 2 იყო, თედო კუპატაძე და ბადრი გავაშელიშვილი, თუმცა, ტურნირზე საპატიო სტუმრის სტატუსით მიწვეულმა ქართული ჭიდაობის ვარსკვლავმა, ალექსი დავითაშვილმა იქ საქომაგოდ მისულ თავის ნათესავს, დავით დავითაშვილის ურჩია, ბედი შენც სცადეო. დავითაშვილმა სცადა ბედი და... ოქროს მედალიც მოიგო.

ტურნირის დასკვნითი ნაწილი მძიმეწონოსნებს ერგოთ. აქ პირველობა არავის დაუთმო ავთანდილ ცერცვაძემ, 85 კგ წონით კატეგორიის მოჭიდავეთა ჩემპიონი კი მძიმეთა შორის მეორე აღმოჩნდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**ლადო ფულუკიძე**

**ბადრი კეთილაძის** *ფოტოები*



**კვარცხლბეკი**

85 კგ
1 ლევან გორგაძე
2 ვანო წივილაძე
3 ლევან რაზმაძე

115 კგ
1 დავით დავითაშვილი
2 ბადრი გავაშელიშვილი
3 თედო კუპატაძე

მძიმე
1 ავთო ცერცვაძე
2 ლევან გორგაძე
3 ადამ ოქრუაშვილი



ლევან გორგაძემ ერთ შეჯიბრებაში ორი მედალი დაიმსახურა

---

რაგბი

## ზე-თორმეტი

# ლელოს წვიმა ქრაისტჩარჩში

**ზე-თორმეტის** გათამაშების მეათე ტურმა გუშინ ხმაურიანი სტარტი აიღო. ქრაისტჩარჩში ახალზელანდიური „ქრუზეიდერსი“, სამხრეთაფრიკული „შარქსისგან“ ფხასაც რომ არ დატოვებდა, თამაშამდეც ცხადი იყო, თუმცა ჯვაროსნები თუ 77 ქულას აართმევდნენ მეტოქეს, არცთუ იოლი სავარაუდო გახლდათ. ისე, არც „ზვიგენებს“ მოუქუჩებიათ ცოტა. ერთი სიტყვით, მატჩი 77-34 დასრულდა მასპინძელთა სასარგებლოდა, ასეთი უხვქულიანობა კი წლეულს სარეკორდოა ზე-თორმეტისთვის. სულ ამ მხიარულ თამაშში 16 ლელო გავიდა, აქედან 11 „ქრუზეიდერსის“ ანგარიშზეა.



კრის ლათამი — „რედსი“

საინტერესოა, რომ 2 ლელო მხოლოდ გირის ანგარიშზეა, დანარჩენებს კი სათითაო ავტორი ჰყავთ, ანუ მეტოქის ჩათვლის მოედანში შეღწევა აომა „ჯვაროსანმა“ მოახერხა. საყურადღებოა, რომ მასპინძლებს საჯარიმო დარტყმა არ შეუსრულებიათ და თერთმეტივე ლელო გარდასახეს. შვიდჯერ კარტერმა იყოჩაღა, ოთხჯერ კი მერთენსმა.

უხვლელოიანი გამარჯვების წყალობით ზელანდიელებმა კუთვნილ 4 ქულასთან ერთად ბონუსიც მიითვალეს და დღევანდელ თამაშამდე ერთპიროვნულად ლიდერობენ ცხრილს. მისი დაწევის ან გასწრების შანსი მხოლოდ „ვარატასს“ აქვს, რომელიც დღეს „ჰაილენდერსს“ ესტუმრება ახალ ზელანდიაში.

კიდევ ერთი მატჩი გუშინ ბრისბენში გაიმართა. ავსტრალიური „ქუინსლენდ რედსი“ სამხრეთაფრიკულ „ქეთსს“ მასპინძლობდა და 21:16 დაამარცხა. 7 ქულაზე ნაკლები სხვაობით წაგებისთვის ბონუსს დამარცხებული „კატები“ კი გამორჩნენ, მაგრამ დიდი ვერაფერი ნუგეში იქნება ეს ამბავი სამხრეთაფრიკელთათვის, რომლებიც ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე არიან.

„ქუინსლენდ რედსმა“ კი ოდნავ გაიუმჯობესა მდგომარეობა და ახლა ცხრილში მერვე ადგილი უკავია, თუმცა პლეი ოფისთვის ბრძოლას ავსტრალიელები დიდი ხანია, გამოეთიშნენ.

დღეს რომ „ჰაილენდერსი“ შინ „ვარატასს“ მიიღებს, ამაზე უკვე მოგახსენეთ, თუმცა მანამდე ჯერ კიდევ პლეი ოფისთვის მებრძოლი პრეტორიული „ბულზი“ ასევე ნახევარფინალში მოხვედრისთვის თავგადადებულ ახალზელანდიურ „ბლუზს“ მასპინძლობს და მიზეზი ვერ გვიპოვია, ამ მატჩს ტურის ცენტრალური შეხლა არ ვუწოდოთ.

ველინგტონში „ჰარიკეინსი“ მოქმედ ჩემპიონ „ბრამბისს“ დაუხვდება. ზელანდიელები ოთხეულში მოხვედრას ლამობენ, ჩემპიონები კი წლეულს ისედაც გვარიანად შერცხვენილები არიან და თუ უნდათ, ნახევარფინალში მოხვედრის თეორიული შანსი მაინც შეინარჩუნონ, ამ თამაშის მოგება მართებთ.

ბოლო თამაში კეიპთაუნში გაიმართება. „სტორმერსი“ ზელანდიურთაგან უსუსტესს, „ჩიფსს“ ხვდება. ესენი მხოლოდ გასართობადღა ბურთაობენ და ამ მატჩის შედეგიც ნახევარფინალისტების ვინაობის დადგენაზე გავლენას ვეღარ იქონიებს.

**ლადო ფულუკიძე**

---

ჰოკეი

# დღეიდან ვენის ყინულს ცეცხლი მოედება

**როგორც** იქნა, დიდი ჰოკეი დაბრუნდა. მსოფლიოს თასის შემდეგ ყინულის ცეცხლოვან თამაშს მონატრებული ქომაგი დღეიდან ნაწილობრივ მაინც დაიკმაყოფილებს წყურვილს. ავსტრიის დედაქალაქში მსოფლიო ჩემპიონატი იწყება, რომელიც, წესით და რიგით, პირველობათა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იქნება, წლეულს ხომ ნჰლ-ის ჩემპიონატის გაუქმების გამო ლიგის ყველა საუკეთესო მოთამაშეს მიეცა თავისი ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვის საშუალება. უნდა ითქვას, რომ „პროფებმა“ სრულიად გაამართლეს იმედები — მათი აბსოლუტური უმრავლესობა სიამოვნებით დათანხმდა ეროვნულ გუნდში თამაშს. ავსტრიაში ლიგის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავების უმეტესობას ვიხილავთ.

რა თქმა უნდა, მთავარ ფავორიტად კანადის ნაკრები აღიქმება. ბოლო წლებში მსოფლიოს მთელი ოქროს (ოლიმპიადა, მსოფლიოს თასი და ორი ჩემპიონატი) მომხვეჭი გუნდი ვენაში უმრისხანესი შემადგენლობით იასპარეზებს. ჰოკეის დამაარსებელთა გუნდზე „სარბიელმა“ უკვე იუწყებოდა. ახლა კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ კანადელთა რიგებში მსოფლიოს თასის 15 მფლობელი იქნება და, გენერალურ მენეჯერ სტივ ტამბელინის თქმით, შემადგენლობა ამჯერად კიდევ უფრო დაბალანსებულია, ვიდრე ეს ორ წინა პირველობაზე იყო. პარადოქსია, მაგრამ ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი, ჩვენის აზრით, ისაა, რომ კანადამ ბოლო ხანებში მეტისმეტად ბევრი მოიგო და, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთნაირი ჰეგემონია დიდხანს არ გრძელდება.

საკმაოდ უნარიანი ნაკრები ჰყოლებათ ამერიკელებს. აშშ-ს ნაკრები ხშირად სუსტი შემადგენლობით გამოდის, ვინაიდან ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატებს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ უთმობენ. ამჯერად კი ნაკრებში რამდენიმე ექსტრაკლასის მოთამაშეა, რომელთა შორის შეიძლება მაიკ მოდანოს, დუგ უეიტის და მაიკ ჰეროშის გამოყოფა. აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ს ნაკრებში ლეგენდარული სლოვაკი პეტერ შტასნის ვაჟიშვილი იანიც გამოდის.

სხვათა შორის, კანადისა და აშშ-ს ნაკრებმა ორი საამხანაგო მატჩი ჩაატარეს ტურნირის წინ და აქედან ერთი ამერიკელებმა მოიგეს (5:4 და 1:3).

რაც შეეხება ევროპულ გუნდებს, აქ საკმაოდ არაერთგვაროვანი ვითარებაა რაზეც „სარბიელის“ მომდევნო ნომერში შევჩერდებით.

**სამველ ლარიგიანი**






# მართლა საჭესთან

იაპონელი კეიკო იჰარა ერთ დროს მოდელი იყო, ახლა კი ფორმულა 3-ის პილოტი შექნილა და ინგლისში „სნეტერტონის" ტრასაზე ვარჯიშობს. მოდელობისას ის ბევრს პოზირებდა საფორმულე სამოსში და ამან უკვალოდ არ ჩაიარა. 31 წლის გოგო მამაკაცთა სამყაროში თამამად შედის.



# გაგრილდა

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS საფრანგეთიდან

სოლო-ნავიგატორმა, ფრანგმა ერიკ დრუგლაზემ მთელი ატლანტიკა გადაცურა და ფრანგულ სენ ნაზერიდან პირველი მიცურდა კუბურ სინფუეგოსში. კუბაში კი, მოგეხსენებათ, ცხელა.

# საფეხბურთო მევრო

ეს ოქროს ასევროიანი იმას გვაუწყებს, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში გერმანიაში გაიმართება. მონეტა სულ ასი ცალი მოუჭრიათ.




# მაკლარენი მოსკოვში

მოსკოვს ჩასულა „ვესტ მაკლარენ მერსედესის" საფორმულე გუნდი, რომელიც რუსის დედაქალაქში თავის პრომოუშენსა სწევს. მთავარპილოტი ხუან პაბლო მონტოია მოსკოვის გოლფ კლუბში წაუყვანიათ და იქ არბალეტის სროლა უსწავლებიათ.



REUTERS მოსკოვიდან



REUTERS ბრიუსელიდან

# საკუთარი თავი

ტომ ბონენი (მარცხნივ) ველოჩემპიონი და სახელოვანი ბელგიელია. ამიტომ, საკვირველი არ არის, რომ ქვეყნის პრემიერმინისტრმა, გი ფერჰოფშტადმა მიიწვია და დაასაჩუქრა. საჩუქარი ბონენისავე კარიკატურა გამოდგა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლალი ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვაკო ახალაძე, ლევან კილაძე, ოთარ მელაძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: ჯურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლეგლიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მიქიაშვილი, თენგიზ ფოცხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge